

კაჟა ეტზისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკარსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად

2020



საქართველოს მწიბრალთა, მცენიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 32

2020



მთ. რედაქტორი

**ბიძინა ლემონჯავა**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. შოთაბრძოლვის ხეივანი №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-839-7 (32 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმერთის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღმსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიუტჩევის ღმერთი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმერთის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმერთი დასტამებული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწესა ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დანაწინის მედლისა და „დიოკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეგი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბრუნდა დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგიური, აბრეშევი, პრეზიდისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## კოეტის ასტრომეული „კონსიუმი კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, დემეტრი არ მიუყვანს რომ ვეზა-დარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონას, რომ ახანჯარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კონსიუმი „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტვინიანი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათოქმეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელიც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგვიუვლომელი ასტრომეული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათოქმე-ტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდაული ისტორია, რაც კოემერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითვია.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...  
კონსიუმი კი...  
დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველუქავი მისწოლია... მათ იცინან იმ იწყება დღემდევის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

კოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



„გულცივად ვხევდი ყოველ ქვას, ყოველ კაბეზას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამბიერ

(გავრძელება)

სადაც კი თვალი მიუწვდება, თვალთახედვა კი მისი უსასრულოა („უსასრულობას მოჰხვია ხელი“). პოეტი მამულის სახეებს ჰხედავს ქვესკნელშიც, ზესკნელშიც, გარესკნელშიც... „მაღალ სხვენზე ჩემი მამულის აურაცხელი ვარსკვლავი ჰყრია“ – ამბობს პოეტი ერთ ლექსში. „წყვილი ცრემლივით ტბა კუს და ლისის ჰკიდია ჩემი თბილისის თვალებს“ – ამბობს იგი მეორე ლექსში, ხოლო მესამე ლექსში სამშობლოს მიმართავს: „მდინარეები შენი ძარღვია და ბობოქარი ზღვა გულად გიცემს“.


\*

„სძინავს დიდუბეს...

სძინავს მთაწმინდას,

და ვარსკვლავები ისე აწვიმს,

როგორც აწვიმდა...







და აქ სიცოცხლე  
და სიმაღლე  
ჩემი მამულის,  
ჟამს, როგორც განბი უძვირფასესი –  
ლოდებს ქვეშა აქვს  
გადამალული“.

ერთ ლექსში ვარსკვლავითიდან რომ უყურებს და ლოდების ქვეშ გადამალულ საუნჯეს ხედავს პოეტი, მეორე ლექსში საქართველოს – ტანკენარ ასულად წარმოგვიდგენს, რომელსაც მხრებზე წყვილი ნაწნავებით გადაუგდია მტკვარი და რიონი. მაგრამ აქ თხრობას ზესენელიდან კი არა, შორ ქვეშეთიდან იწყებს, როცა „ზედმაგალი მნათთა სხივები სივრცეებში ნათელს აწნავენ“, რის გამოც „ბრწყინავს და ელავს ცის დაფიონი“.

პოეტს მტკიცედ სწამს და სჯერა სიმაღლე მამულისა, კავკასიონი მისთვის მთელი დედამიწის მტკიცე ხერხემალია, მაგრამ ეს სიმაღლე მუდმივ მზარდად ესახება:

„ჩემს ქართულ ცაზე –  
ბუმბერაზ მთებს შეუდგამთ მხრები  
და ეწვევიან მაღლა,  
სულ მაღლა“...



ნაირფერად წარმოგვიდგენს მამულს ჩვენსას პოეტი, მიმზიდველ პოეტურ სახეებში აცხოველებს მას და სულს უდგამს, მაგრამ ძალიან კარგად იცის, რომ სამშობლო – ხალხია. საქართველო – ქართველობაა...

„დაკარგულია გზა მოხვევის. ბნელდება. რამე მიეშველენით“ – სიფხიზლის ზარს რეკავდა გალაკტიონ ტაბიძე.

„და საქართველო ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“ – წერდა ტერენტი გრანელი.

ქართული ფენომენის გადარჩენის სულისკვეთებით ანთებული წერდა შოთა ნიშნიანიძე: „არ ჩაგეძინოს, არ ჩაგეთლიმოს, შეიბ მახვილი, შეიბ მახვილი, შეისმინე ჩემი ძახილი“.

ვაჟა ეგრისელის ლირიკის პათოსი მამულის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ყიჟინაა. აკი „ხელოვანმა სამშობლოს დაცვის იდეით უნდა აღჭურვოს ადამიანი“.

ლექსში „მამული“ პოეტი აღნიშნავს, რომ სამშველი სამშობლოს არსაით ჰქონდა, გარდა ერთა შვილთა მისთა სიმრავლისა:

\*

„შურის და მტრობის გედგა უღელი,  
სისხლში იდექ და  
წელში წყდებოდი,



არას გშველოდა ლოცვა ბერთა  
და დიაკვანთა,  
მაგრამ... მამულო  
შენ იწყებოდი –  
ყველა ქართველი ბავშვის აკვანთან“.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ ერთი ლექსი, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინ დაიწერა. ჩემი აზრით, ეს ლექსი ერთნაირად არის ადჭურვილი ახალგაზრდული სულისკვეთებითაც და სიღრმისეულ შრეებში განფენილი პოეტური სიბრძნითაც:

\*

„ერთხელ კი არა,  
ჩვენ გვინდა ორჯერ  
ყოფნა –  
ქვეყნად და მივტირით.  
უფასურია სიცოცხლე ზოგჯერ  
და  
მით უმეტეს სიკვდილი.  
– სამშობლოსათვის როდესაც კვდები,  
სიკვდილს მაშინ აქვს  
ფასი“.

„მამული!“ – ამ სიტყვის ყოვლადმკყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ სადაც ხალ-



ხობა დარღვეული არ არის და გასხვისებულობა – იქ ჭირთაჭირი არ მეფობს. იქ მაგ სიტყვის აზრი და ცხოვრების მომნიჭებელი სულია. მთელი ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ, მაგ სიტყვის ხსენებაზეც თვითუფს – მთელი ხალხისა და მთელ ხალხს – თითოეულისა ჭირი და ღხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზე დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღველობს, ღხენითა ღხინობს, დღეობითა და დიდებითა დღესასწაულობს. იქ, მაგ სიტყვაში ყოველია და ყოველში ყველა არის. ჩვენშიც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონიაო თურმე. იცი როდის, როცა ჩემი „მე და შენი“ „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყვეარში ერთად ბმულა“.

წიგნში დაბეჭდილი მრავალი ღირიკული ნაწარმოები იმის მკაფიო ილუსტრაციაა, რომ ჩვენი პოეტისათვის ილია ჭავჭავაძის მოსაზრება არის დვრიტა, რომელმაც მას შთააგონა შეექმნა ისეთი შედეგები, რომლებიც თანამემამულეებს მგზნებარედ, ომახიანად მოუწოდებენ, რომ სავალდებულოა ხალხის ცხოვრების საყვეარში უდრტვინველად შებმა. ანალიზებენ რა ვაჟა ეგრისელის იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც დაგმობილია გულმანკიერი, მუხთალი ადამიანები, მკითხველები აუცილებლად გაიხსენებენ ვაჟა-ფშაველას ოქროცურვილ სტრიქონებს:



„დამსეტყვე, ცაო დამსეტყვე,  
აქა ვარ ჩემის თავითა,  
გულითა გაუტყხელი,  
მოულაღავი მკლავითა,  
რაც უნდა ჭირი მომკერძო,  
ბილწო არ შავეკვრი ზავითა.  
მცნებას ვერ შემაცვლევინებ  
მოზღვავებულის ავითა...  
სანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს  
კეთილსა ვყვანდე ზიარად;  
ვერ მივცემ მტერსა მამულსა  
საჯიჯგნად, დასაზიანად...  
ნუ გეგონებით, დაველანრდი,  
ჯერ ისევა ვარ ფხიანად“.

ამ სტრიქონებიდან აშკარად იგრძნობა, რომ მამულის სიყვარული უკიდევანოა. მუხანათთა უსაზღვრო წყევლა-კრულვა, კეთილმოქმედთა წარუვალი ხოტბა – ვაჟა ფშაველასათვის იყო თავისებური დერიტა, რომელმაც შთააგონა და დააწერინა მას ეს ბილწოთა მაწყევარი და ჭეშმარიტ მამულიშვილთა დიადი საგალობელი.

ვაჟა გერისელის ლირიკაში მამულის სიყვარულის განცდა თაფლივით მოწვეთავს, რომელიც მალამოდ ეღება ჭრილობებით დასერილ გულებს, რამეთუ:



\*

„აწ და მარადის  
შენი ერთგული –  
ბელტი მიწა ვარ.  
სადაც მე ჩემი ღმერთი მეგულვის –  
იმ ცას ვფიცავარ!“

ან:

„ვინც ამიოხრა მამული,  
სარზე ჰკიდია თავები,  
არაგვისა და ივრისპირს.  
სწორედ,  
იმ სიკვდილს დავეძებ,  
შებმა მწადია პირისპირ!“

ზემოთ მოგახსენეთ, მამულის სიყვარული იმით იზომება, რამდენად გვიყვარს ის, რაც უფალმა გვიბოძა და ის, რაც ჩვენ ამ ნაბოძვარს მივუმატებთ.

ღვთიური პოეტური სული კარნახობს ვაჟა ეგრი-სელს სულ ახალ-ახალი სანთლები მიიტანოს და აანთოს „დიდი ღმერთის საკურთხეველზე“, იმ კანდელებზე, სადაც ციური ალი კიაფობს...

ლექსში „ცხრამნათი“ პოეტმა ცხრა მამულიშვილს აუნთო სანთელი. მასში მოხსენიებულია ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, ქეთევან წამებული, ცოტნე დადიანი, მირიან მეფე, ელიზბარ და



შალვა ერისთავები, მოციქულთა თანასწორი ნინო  
კაბადოკიელი, ერეკლე მეფე, რომელთა სახელები  
საქართველოში ცის სარკეში მარად იბრწყინებენ:

\*

„ვინც მამულს თავი ანაცვალა –  
ყველა გმირია  
და უკვდავება თავზე დანათის...  
ვახტანგი,

დავით,

ქეთევანი,

ცოტნე,

მირიან,

შალვა,

ელიზბარ,

ნინო,

ერეკლე, –

სამარადიოდ როგორც ცხრამნათი,

საქართველოს ცის სარკეში აირეკლნენ“.

ვაჟა ეგრისელის ამ სტრიქონებში მკაფიოდ  
იჩენს თავს პოეტური ფანტაზიის სიუხვე და ფერა-  
დოვნება. პოეტს ეზმანება სხივნათელი წინაპრები,  
რომლებმაც ფარ-ხმლითა და შუბით დრო-ჟამი ვერ  
შეახერეს. დიას, წინაპრები დიდი ბრძოლების მერე  
დასასვენებლად დაივანებენ. ჟამი კი ისევ მიდის და



მინანაობს. მათი სულის მოსახსნელად ცა კვლავ  
უთვალავ სანთელს ანთებს ყოველ საღამოს:

\*

„გერ შეაჩერებს ჟამთა დინება,  
თუმცა ფარ-შუბი  
დიდხანს აელვებს...

მერე დაღლილი მიეყარნენ მოსახსენებლად.  
ჟამი კი,  
ჟამი ისე მიდის და მინანაობს,  
და მათი სულის მოსახსენებლად,  
ცა კვლავ ვარსკვლავთა  
სანთლებს აანთებს  
ყოველ საღამოს!“

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში უამრავი ლექსია მა-  
მულის სიყვარულის ვარდის ეკლებით აცრილი და  
ცხადად გრძნობ, პოეზია ფიქრია და ყველა შედეგური  
– მისი მკრთალი გამოძახილი.

პოეტი მთელი არსებით მხოლოდ საქართველოს  
ისტორიული წარსულით, აწმყოთი და მომავლით  
ცოცხლობს და სულდგმულობს.

მართლაცდა წმინდა და ნაკურთხი მოედინება  
უსასრულობისაკენ ერის სიცოცხლე. მისი პოეტური  
გზნება და აღმაფრენა აქ იწყება და მთავრდება.





\*

„საქართველოს მთად და ბარად,  
ფიქრი ჩემი  
ვით გავაზი –  
ქროდა...

და მზით დავიტვირთე,  
შუბლში ტყვია მითავაზეს,  
მამულისთვის ჯვარის მტვირთველს“.

\*

„ჩემი სამშობლოს მაღალ დირესთან –  
ქედები თოვლის სანთლებს ანთებენ...  
და მე ვმადლდები ვით მაცხოვარი,  
როცა წკვარამში ღამენათევი –  
ჩემს ღია სარკმელს  
მოადგება  
დილის ნათელი“.

ლექსში „კოხტასთავთან“, რომელიც ჩვენს პირველ წიგნში მთლიანად გვაქვს მოტანილი, პოეტი ამბობს: „არა ჩანს ცოტნე, არც გაგელი... და არც ჯაყელი“. ისტორიულად ცნობილია, რომ ჯავახეთში არის ერთი ადგილი კოხტასთავი. აქ შეიკრიბნენ იდუმალ: ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, კახაბერ კახაბერისძე, ვარამ გაგელი, ივანე-ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღა პანკელი, გამრე-



კელ თორელი და სარგის თმოგველი. ლექსს ამ ისტორიულ ფაქტთან მივყავართ გონის ასამოძრავებლად, რათა პირველ ცოდნასთან მიგვაახლოს. ეს მხოლოდ პოეზიას ხელეწიფება. დიდი ფილოსოფოსი არისტოტელე ამბობდა: „პოეზია უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორიაა“. ესთეტიკური ტკობით ადამიანის კათარზისი-გაწმენდა სწორედ ჩვენს ბიოლოგიურ არსებობაზე პირადულ „მე“-ზე ამალღებს და საერთო საკაცობრიო პოზიციაზე დადგომას ნიშნავს.

\* \* \*

ვაჟა ეგრისელი მახვილგონივრულად ხატავს საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ ფურცლებს და მას ვისაც დაკვირვებით წაუკითხავს საქართველოს ისტორია, კარგად იცის, რომ 1235 წელს მონღოლები სრულის ძალებით შემოესივნენ საქართველოს. სამხრეთ საქართველოს მესვეურებმა-მხარგრძელებმა მათზე მინდობილი სამფლობელოები უბრძოლველად ჩააბარეს და თვითონაც ჩაბარდნენ. თბილისიც აიღეს მონღოლებმა. მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე გალაშქრება ვერ გაბედეს. 1247 წელს ქართველმა ერისთავებმა მონღოლთა უღლის დასამხობად შეთქმულება მოაწყვეს. საიდუმლო შეკრება მოხდა კოხტასთავს, ჯავახეთში. აქ შეიკრიბნენ, რო-



გორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეგრესიონ ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, კახაბერ კახაბერისძე, ივანე-ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღა პანკელი, გამრეკელ თორელი და სარგის თმოგველი.

ცოტნე დადიანი და კახაბერ კახაბერისძე კოსტასთავიდან ადრე წავიდნენ დასავლეთ საქართველოს ჯარების გადმოსაყვანად. დანარჩენებმა კი წასვლა-წამოსვლა ვეღარ მოასწრეს: მონღოლები დაესხნენ და ყველანი შეიპყრეს, ანისში (სომხეთის ახლოს) ჩაიყვანეს. ყველანი გააშიშვლეს, ხელფეხი შეუბოტეს. ტანზე თაფლი წაუსვეს, მწველი მზის ქვეშ დაჰყარეს. როცა ეს ამბავი ცოტნე დადიანმა შეიტყო მაშინვე სომხეთში ჩავიდა. თვითონაც ტანთ გაიხადა, მხარმკლავი გაიკრა და მზითა და კრახანებით განაწამებ ამხანაგებში ჩაჯდა.

ცოტნე დადიანის გასაოცარმა გმირობამ იხსნა ქართველები განსაცდელისაგან. ყველანი გაათავისუფლეს – მოგვითხრობენ მემბტიანენი. პოეტი ვაჟა ეგრისელი ხატავს ოქროვანი მზის ნათლით გაბრწყინებულ ციხე-დარბაზებს და მოსალოდნელ გულშემზარავ ტრაგედიას. ეს საშინელი ფაქტი, უბედურზე უბედური ეპიზოდი სულის შემძვრელადაა აღწერილი ლექსში „XIII საუკუნე“. ამ ლექსში ნათლად ჩანს, თუ რა ხერხებითაა გამორჩეული პოეტის ხელწერა. არავითარი ნატურალიზმი არაა ისე შთამბეჭდავი და მეტყველი, როგორც გულში გატარებული შთაბეჭდი-



ლუბის გადმოსაცემად ასეთი სხარტი მეტაფორული  
სიტყვები:

\*

„მზე დაჩახჩახებს  
საქართველოს ციხე დარბაზებს,  
მაგრამ ცოტაც და...  
ოხვრასა და სისხლში აზელენ  
და ქართლი უნდა იქცეს  
გოლგოთად.  
ჯერ აღარ ჩანან...  
საიდანღაც ამაზრზენი –  
ცხენთა თქარუნი ისმის მონღოლთა“.

„უამთააღმწერელი თავს არ იტკიებს ცოტნეს  
გმირობის ანალიზით, მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს და  
ესეც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ სამყარო  
დარჩეს ისეთად, როგორიც იყო მანამდე, სანამ მონ-  
ღოლთა ნოინი ბეჭედს დაუსვამდა კოხტასთავის  
შეთქმულთა განთავისუფლების ფირმანს“.

ვაჟა ეგრისლის პოეზიაში ცოტნეს სახე ქართუ-  
ლი ლიტერატურის თავისებურ ხასიათობრივ გამოვ-  
ლინებებში ფიქსირებულ ისტორიად წარმოგვიდგება.  
ზნეობრივი გმირობის ენერგია გამოტეხს წყვედიადის  
კლდეს, რათა ურიცხვი მაგალითებით საუკეთესონი  
შეგვახსენოს. ჩნდება ცოტნე დადიანის, შოთა კუპ-



რის, თორღა პანკელის, თმოგველ-ჯაყელის სახეები  
ლექსებში და მენვენება მნათობებივით ამოდინ  
წყვდიადიდან ეს სახეები, ერის წარსულში მათი სა-  
ხეებისაგან ასხლეტილი სინათლე საუკუნეებით ჩაბ-  
ნელებულ ჯურღმულებსაც ჩასწედენია და გაუნათე-  
ბია...

მოდის ცოტნე – ერის პატიოსნების, ქვეენისადმი  
ერთგულებისა და რწმენის გადამრჩენი, აგრეთვე ვი-  
ცით გაცემული შეთქმულებები, აოსრებული ქვეენის  
ვაება, აუტანელი წყვდიადი საქართველოში და;

\*

„სადა არის ცოტნე –  
ჩვენი მტერი და ამჯანყელი?  
– აქა, ვართ ყველა ერისთავი:  
თორღა პანკელი,  
შოთა კუპრი,  
თმოგველ ჯაყელი –  
ჩვენ ჩვენი მრველით.  
მაშინ თავისთვის გაიფიქრა  
ანგურ ნიონმა,  
კიდევ კარგი რომ  
ქართველები  
არა ხართ ბევრი!“

(„ანისში“.)



იშვიათად შემხვედრია პატრიოტული ლირიკის ნიმუში, რომელიც ესოდენ დამაჯერებლობითა და გულწრფელობით იყოს გაჯერებული. საქართველოს ისტორია ხომ სავსეა დიადი გამარჯვებებითა და შემზარავი დამარცხებებითაც. მემატინანებმა შემოგვინახეს მამულისათვის თავგანწირვის უიშვიათესი მაგალითები და როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ, გვიმტკიცდება რწმენა, რომ ადამიანის სულის სიწმინდის შეურყენელი და აუმღვრეველი პოეტური ხმა იშვა კაცობრიობის ყველაზე მძიმე ჟამს, როდესაც ადამიანის მხეცური ინსტიქტები საშინელებას თესავდნენ. როდესაც გარკვევით ითქვა უიმედობის გამომხატველი სიტყვები – ადამიანი ყოველივე ამის შემდეგ ლექსის დაწერის უფლებას კარგავსო. როგორც ჩანს, დროებითი და წარმავალი აღმოჩნდება ეს უიმედო განწყობილება. პოეტური სულის სისპეტაკე არც ერთ დროში არ თმობს თავის სიმაღლეებს და გვარწმუნებს იმ ჭკუშიარიტებაში, რომ ადამიანის რაობის განმსაზღვრელ სულიერ სიფაქიზეს სიკვდილი არ უწერია...

ლირიკული ნაწარმოების წაკითხვისას თითქოს ვხედავთ სახე გაბრწყინებულ, სახეგაცისკროვნებულ წინაპრებს, რომლებიც ზეიმობენ გამარჯვებას. მომაჯადოებელია ლირიკული ნაწარმოების ოპტიმისტუ-



რი უღერადობა. საქართველო ბევრჯერ მტერმორეული ვერ იტევდა გადამთიელთა ურდოებს:

\*

„თურქი...

არაბი,

თათარ... მონღოლი...

არ იყო მიწა, საქართველოს მტერთა დამტვევი –

და ბრძოლით დაღლილ დღეს და ღამეს

და ჩემს წინაპარს –

წლობით კი არა,

საუკუნოობით

ეძინა პირზე ბასრი სატვერის“.

ამ ლექსში გულისმომკვლევლად გვესმის ტანჯული, ჩაგრული და წამებული ქართველი ხალხის კენესა-ოხვრა და ნუგეშისმცემელი ჰანგი, რადგანაც ლირიკული გმირი გვაიმედებს, რომ საქართველო კვლავ უშიშრად ემზადება ვერაგი გადამთიელების სამკედრო-სასიცოცხლო შეტაკებისათვის.

ვმსჯელობთ რა იმ ლექსების შესახებ, რომლებშიც განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწიწებითაა დახატული ცოტნე. ვგრძნობთ რომ პოეტი ცოტნე დადიანის გმირობით აღფრთოვანებულია. ცოტნე დიდი მამულიშვილია, რის გამოც იგი ხალხისთვის მარადუამს თაყვანსაცემია. ჭეშმარიტმა ქართველმა



ასეთი ამადლეკებელი და თავგანწირული გმირობით არათუ აღტაცება, არამედ მსგავსი მაგალითიც უნდა გაიმეოროს. ავტორის მიზანი ჭეშმარიტად ამადლეკებულია და მამულიშვილური...

### **ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*





\* \* \*

სამყაროს უცხოდ მმოსავი,  
ელვის ხმლით გაუკაფავი,  
გველის წყვედიადი მზიური.  
სისპეტაკე და  
სიმაღლე,  
ნათელი მარადიული.

2009

## ჰელიოს და ანტიოპე

უკვდავების წყაროს სვამდნენ  
და სიკვდილი დაამშვიეს.  
უშვილობას გაჰკიოდნენ,  
ვითარც ჩემნი...

თუმც ითვლიდნენ  
ცხრა ნაშვიერს,  
ჰელიოსს<sup>1</sup> და ანტიოპე.<sup>2</sup>

1971



---

<sup>1,2</sup> – მითიური კოლხეთის მეფის – აიეტის შშობლები.

\* \* \*

რადგან არსთაგამრიგემ,  
აღარ მოგცა საშველი  
და ვით დევი-ახმახი,  
ცათამბჯენებს აშენებ  
და არა ძველ-ქოხმახებს.

2005



## ცეში და მითრა

იქ ცაიშთან, ვითარც ადრე,  
მთეარის მოხრილ ყანწით  
ხელში,  
დიონისე კვლავ დაგვიტვრა.  
ჩამოზნელდა,  
არ ჩანს ცეში,<sup>1</sup>  
და არც სანთელს ანთებს მითრა.<sup>2</sup>

1966

---

<sup>1</sup> ცეში (ცაიში) – სინათლის ღმერთი კოლხურ პანთეონში. (ადგილი, პრეისტორიული სოფელი ხობის რაიონში)

<sup>2</sup> მითრა (სპარს.) – შხის და სინათლის ღვთაება.



**ლიუ-ლაუ!**

ხობისწყალში ჩასულ მთვარეს,  
ვარსკვლავებით დაჭორფლილი  
სახე,

შენსას მიუგავს.

ჩვენ არ გვინდა,

მაგრამ მაინც,

ზეცა აჩენს ღიუ-ლაუს!\*

1964

---

\* ღიუ-ლაუ (მეგრ.) ცისკრის პირველი სხივის გამოჩენა.



## ჭექა-ჭუხილი

ბოროტ ღმერთებს და ავსულებს,  
ათას ჭირთა შესაყრელად,  
ციდან –  
მიწაზე მოგზავნილთ.  
დაადევნა არსთაგამრიგემ  
ელვა-ჭექა,  
მეხ-ბორზალი.

1964



**მზის ჩასვლა ზღვაზე**

კვლავ ისხამენ ზვირთთა მტევნებს  
ზღვის დიდი და  
ლურჯი ზვრები,  
და მზის ჩასვლა ღამაზია.  
ერთი სხივი ბნელში ძვრება  
ისე,  
როგორც კვამაზია\*.

1963

---

\* კვამაზია (მეგრ.) ბუზი, რომელიც პორტუგეის უკანალში ძვრება.



## სოფელში

მზე ჩადის და...

ნაწნავეები

უცაბედად შეიჭრა.

და შუკასთან კრუხ-წიწილებს,

ვიღაც უხმობს წარმართივით:

მეიჭან!

მეიჭან!

მეიჭან!

1958





\* \* \*

შორით ისმის ძახილი  
მთვარის –  
მარმარილოსი,  
ცის ჭიშკრამდე მისული:  
შენი პოეზიაა –  
ფაზისი და ნილოსი,  
დედა მტკვარი – არაგვით,  
მისისიპი – მისურით.

1998



\* \* \*

ჩემი ყოფნა ისევ ისმენს,  
აქ არყოფნის რაშის ჭიხვინს.  
მოვეჭიდო,  
არ ჩანს ხავსი.  
და მხეცს უნდა, რომ მიღრინოს.  
მაინც ჰელიოსის თასით  
ვსვამ წინაპრის  
სიბრძნის ღვინოს.

1993



\* \* \*

ვერ შევლოდა მზის ამოსვლას,  
ამის გამო კადმოს წუხდა  
შენ კი პოეზიის საღ კლდეს –  
დაჰკარ კვერთხი,  
როგორც მოსემ,  
და „კოლხური ფსალმუნების“ წყარო  
ოქროდ გადმოქუხდა!

1996



## კოლხური ბაღი

იყოს მთიებით ნაქარგი,  
ქართული ზეცის თაღით.  
მის ჩრდილქვეშ სულს იგრილებდეს –  
მამა-მაშვრალი დაღლილი.  
და შრიალებდეს კოლხური  
ბაღი,  
ედემის ბაღით.

2009



\* \* \*

პოეზიის მზის სხივი,  
გსურს სამყაროს მოჰფინო-  
მსხმოიარე ვენახად...  
...ერთ მხარეზე შენა ხარ!  
და იქით კი...  
მსოფლიო.

2008



\* \* \*

ვარსკვლავთ ხოდაბუნებში  
დაექვბდი საყანეს,  
შეგეფეთა სიკვდილი,  
იარაღი აყარე!  
ახლა მარჯვნივ უზიხარ –  
მეცხრე ცაში საყვარელს.

2000



## იერუსალიმში

(გოლგოთა)

ჯვარი აღმართულია,

წამებს მისდევს წამები...

ორი ათასწლეულის

შემდეგ ქრისტეს წამებას

ცრემლიანი შევცქერი,

(რადგან არ ჰყავს დამხსნელი)

ვით ელიოზ მცხეთელი<sup>1</sup>

და ლონგინოზ კასნელი.<sup>2</sup>

---

P.S. 1,2 – მათ უფლის კვართი წილად ხვდათ და „მოიდგეს მცხეთას“.



## ოსკ აზნაჯეთი

იავარქმნეს კოლხეთი –

ცის და მიწის მშვენება.

მაგრამ უფლის წყალობით,

კარგი დღე არ ადგიათ! –

– ღტოლვილების გამწყვეტებს

ელით გადაშენება! –

ამბობს ბრძენი აბდია! (წინასწარმეტყველი)

1993





\* \* \*

ჯერ ღამეა,  
მაგრამ მალე,  
ცად ამოსვლას აპირებს მზე,  
გულში დღეს რომ ინახავს.  
შენი ზღვების სანახავად  
მოვლენ და მის ნაპირებზე  
დასხდებიან ინახად.

1971



\* \* \*

ვითარც შენი წინაპარი,  
უფლის ნებით კვლავ იომებ...  
და არ უნდა ლაპარაკი,  
„პირს შეუკრავ მძვინვარ ლომებს“,  
ვით იეფთა და  
ბარაკი.

1993



\* \* \*

სიცოცხლე და სიყვარული  
და „კოლხური ფსალმუნები“,  
უფლის მადლით და  
მირონით –  
ვეფხვის დარად დაწინწკლული,  
წუხს სოფლიურ მეუფებას,  
ვით ალამი ბაბილონის.

1995



## კუირიელისონი

არ ჩანს ოქროს საწმისი,

არგო,

არც იასონი.

მაინც წარსულის ციდან

ჟონავს –

კუირიელისონი.\*

1966

---

\* კუირიელისონი (ბერძ.) – უფალო „წყალობა ჰყავ!“



\* \* \*

ვით თქმულება და ლეგენდა –  
აქ ფაზისი პონტოს  
ერთვის  
და მითებით კოლხეთს ნაღმავს.  
შენც უფალმა მოგცა  
კვერთხი,  
ზღვა გააპყ,  
გადი გაღმა!

1979



**წიგნი – „ნათელხილვა“**

ჩაიარეს დაისებმა,  
მათრობელა იელით.  
სიხარულის ცა იხსნება  
და მე ვხედავ ციურ ხილვებს,  
ვითა ეზეკიელი.

1975



\* \* \*

ოკეანე ატლანტის დელავს...  
და მის ფსკერიდან  
ისმის უხმო ძახილი:  
– დედამიწა დიდია,  
მაგრამ მალლა,  
მის თავზე,  
მთვარე ისე ჰკიდია,  
ვით დამოკლეს მახვილი.

1973



\* \* \*

შატილში და ღულის ჭაღას,  
წარსულში არ სდიე ქისტებს,  
ხევსურთ ყოფნის  
მომსწრაფელთ!  
სიყვარულით, როგორც ქრისტემ,  
ბევრი „მოიმოწაფე“.

1977





\* \* \*

მინაწერი გიორგი მთაწმინდელის  
წიგნზე – „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი.“

მშობლიური ელით ციხე-დარბაზები,  
მაინც სხვათა ურჩევნიათ  
ბნელი მღვიმე,  
და მზერას რომ არიდებენ მშობელ  
დედებს,  
იმას არ სჯობს ზოგ-ზოგები,  
ვით ეფთვიმე,  
რომ „ქართულით ამეტყველდეს“.

1993



\* \* \*

ათასჯერ უელის სამყაროს,  
მის ნათელს ვედარ მონებენ,  
და ხსნასაც მისგან მოველით...  
სულ სხვაა თვალი –  
გონების,  
ის მჭვრეტელია ყოველის.

1979



\* \* \*

დიდგორთან და ბასიანთან  
უშქარ მომხდურს დამდგარს  
ბინდად,  
ვით ცხვრის ფარას რომ უვლიდი...  
შენც ალგეთის მგელი გზრდიდა,  
მიტოვებულს –  
რომულივით.

1971



\* \* \*

მრეელი რწმენით დაარწყლულე,  
სიყვარულის ზღვა ადინე...  
და ხმა მამას მიაწვდინე,  
მეთევზეთ და  
მონადირეთ –  
სულიწმინდა მიაფინე.

1979



\* \* \*

სინათლის პეგასს მიაჭიხენებს,  
ელვა ქამანდად ბნელში  
ნასროლი.  
და ჰყვავის მთვარის იასამანი.  
წყვილადში მიდის გზა –  
უსასრულო  
და აქეთ მოდის დღე უსამანო.

1995



\* \* \*

იცავს მთვარე ეული  
და ზეცა ღამეული –  
არის თასი გრაალის,  
სულ პირთამდე აღსავსე –  
ქრისტეს სისხლის  
წვეთებით.

1971



## მეცხრე ცა

სიმათლის –

მზემ გამოანათა

და ღაღა ნეტარი ამინდი.

(რა ვუყოთ თუ მავანთ ემცხეთათ!)

გათავდა!

მიელთ მეცხრე ცა,

გრაალის ორდენის რაინდებს!

2009







\* \* \*

ჰა,

ორმოცი წელი არის,

უდაბნოდან, როგორც მოსეს,

რომ გამოგყავს შენ

„კოლხური ფსალმუნები“.

დამით მთვარე გუღს გიოხებს,

დღისით კი მზის აღმურები.

2009



\* \* \*

მთვარე ჩადის...  
და გრაალის  
ცაში იხედები ბინდად.  
და შენ ხედავ დავითით –  
მამას,  
ძეს და  
სულიწმინდას.

1979



\* \* \*

ათასწლეულებს, როგორც ცხვრის  
ფარას,

მზე სარქალივით

ჩვენსკენ მოდენის –

ქართული ცისქვეშ დამენათევი.

ვით „ნათელხილვა“ და

„მოლოდინი“,

ჩემი „კოლხური ფსალმუნია“ –

„იქმენ ნათელი!“

1994



\* \* \*

წარსულის ცა დაცქერის  
წუხილთ და  
აღერსით,  
დედამიწას, ვითარც თასს,  
ქრისტეს სისხლით დაცვარულს,  
უფლის ქვაზე აღესილს.

1983



\* \* \*

ცამ ნათელი დაგაფრქვია,  
ვით სოლომონს სიბრძნის წყარო.  
რაც უნდ გიმტრონ და  
გედაონ,  
შენ, უფალი-ღმერთი გწყალობს,  
როგორც სამსონს და  
გედეონს.

1999



\* \* \*

უფლისაგან ბოძებული –  
ღვთიურიც დაგდეგს, კაცურიც,  
ცის და მიწის საესავი.  
და ბიბლიის მღელვარ ზღვაში –  
მზის კიდობანს მიაცურებ  
შენ,  
ბიბლიურ ნოესავით.

2008



\* \* \*

მოვარდნილ უამთა ქარიშხალს,  
არ ძალუძს ზღვათა  
წაქცევა,  
მის მოქცევით და მიქცევით.  
ძნელია ქართულ ცად ქცევა,  
მაგრამ უთუოდ იქცევი.

2009



\* \* \*

ღამეები ფიქრების უაღვირო რაშებით  
მიჰქრიან და ნალები ბნელში ყრიან  
ნაცხაცხას\* –

სულ სხვა შურისსიებით.

გრგვინვით გადაუარეს –

ცხრა მთას,

ცხრა ზღვას

და ცხრა ცას,

იქ მიდიან სადაც რომ,

ნათელს იღრინებიან

ბუნაგიდან მთიები.

1966

---

\* ნაცხაცხა (მეგრ.) – ნაპერწკალი.





ხ მ ა

ოცდაათი წელია,  
დილა თუ საღამოა  
გესმის ხმა პარნასიდან  
– აქ ერთი თუ ამოვა,  
მილიონ ასიათასიდან.

1971



\* \* \*

ვარსკვლავებით მოჭედილი

ცა,

ღმერთს რომ არ გაუთვალონ,

სილამაზეს მისას მაღავს.

მთვარეც მიტომ უკიდია,

ვითარც ცხენის თავის ქალა.

1971



**საწმისს, ბრაალს და ეფუთის**

სხვაგან არა,  
კოლხეთში,  
მე ზღაპრული პეგასით,  
ლეგენდებში შეფუთვნილს,  
ვესებ წელი ერგასი<sup>1</sup> –  
საწმისს,  
გრაალს,  
ეფუთის<sup>2</sup>,  
ხვენ კოლხებს რომ გვეკუთვნის.

1979

---

<sup>1</sup> ერგასი – ორმოცდაათი

<sup>2</sup> ეფუთი – უსველეს კოლხურ ენაზე დაწერილი წიგნი, სადაც ნაწინასწარმეტყველი იყო ქვეყნის დასასრული.



## სულის ფრთები

„ამაღლდა ზეშთა სიმაღლედ ფრთა სულიერითა“.  
ბასილი.

საღდაც ღამის ბოლოში  
მთვარე მოხანს ქოხივით  
და შიგ სანთლებს  
სულ ინთებს.  
მეცხრე ცის კვლავ მოხილვის  
კლავს წყურვილი  
სულის ფრთებს.

1992



## ათი მნათი

პოეზიის მაღალ ციდან  
დაგნათის და  
დაგციმციმებს –  
ხაუმქრალი ათი მნათი\*  
და გიღვისებს გულში –  
იმედს,  
იმათ სხივთა ათინათი.

1990

---

\* იგულისხმება კომეროსი, რუსთაველი, დანტე, შექსპირი, ბაირონი, გოეთე, თავორი, ბარათაშვილი, ვაჟა, გალაკტიონი.



ბ ო ს მ ო ბ ო ნ ი ა

ცა და მიწა ზოგ-ზოგების კი  
სულ თავისი ჰგონია,  
შენ კი ნათელს „უჟამოს“  
და უხილავს მოყევი,  
როგორც კოსმოგონია\*.

1965

---

\* კოსმოგონია (ბერს.) – სამყაროს წარმოშობა.



\* \* \*

სადღაც დასალიერში,  
მოფარფატე თოლიად  
მოხანს თეთრი გლისერი.  
მთები ნისლს აბოლებენ  
უდარდელად,  
ინახად.

ზღვა კი სანაპიროზე ბოლთას სცემს,  
ვერ იხვენებს,  
რადგან დიდ საიდუმლოს,  
აღბათ გულში ინახავს.

1974



\* \* \*

მილიონი წლის წინათ,  
შენს აკვანს სველ კოლხეთში,  
ვარსკვლავები არწევდნენ..  
გიგალობდა ევქსინის  
პონტო,  
ცეცხლში განწმენდილს.

1961





\* \* \*

საქართველოს ცის თაღზე,  
სწორედ შობა ახალ წელს  
და სწორედ დღეს –  
ბედობის  
გაიელვებს აჩრდილი –  
სიონეველ დედოფლის.

1983



\* \* \*

ძველი სამყარო გაუვალი არის  
ულრანი  
და შეცხადება ისმის ჭოტების.  
ჩანს და არცა ჩანს მთვარე –  
ეული –  
ხეში ფიქრები –  
მიღმა ასი ათასწლეულის,  
კაცობრიობის ბნელ წარსულში  
დააბოტებენ...

1969



\* \* \*

უამმა დღეთა ცოცხებით  
ვერ იქნა,  
ვერ აღგავა

მკვდრები...

მარად ცოცხლები  
ტაკუბოკუ<sup>1</sup>,  
საკურა<sup>2</sup>,  
ოე<sup>3</sup>, აკუტაგავა.<sup>4</sup>

1982

---

1,2,3,4, – იაპონელი პოეტები.



\* \* \*

შენი აზრი ღვთის ხელით  
ცად დათხრილი –  
მზის ჭაა,  
ყვავილია ნოვალის.  
შენი ლექსი – ფიჭაა  
მრავალუჯრედოვანი.

2000



\* \* \*

განწმენდილი ენგურით<sup>1</sup> –  
უღრანს ათასწლეულთა  
ფიქრთა ცუდით მივბელავ,  
რადგანაც იქ მეგულების  
ხეში რეა-კიბელა<sup>2</sup>.

1009

---

<sup>1</sup> ენგური (ბერს.) – მიწისქვეშა წყალი.

<sup>2</sup> რეა-კიბელა (ბერს.) – ღმერთების დედა.



\* \* \*

წარსულიდან მოსულმა,  
უდიდესმა პოეტმა,  
სხვა რა უნდა ინატროს  
– უსველესი კოლხეთი,  
„კოლხურ ფსალმუნებში“ რომ,  
მზისებრ დააბინადროს.

2008



**უ რ ა ნ ო ს ი**

გესმის ყეფა ცერბერის –  
უკვდავების კარს იცავს,  
მწუხარებით მოსილი.  
შენი სული – არის ცა,  
იგივე ურანოსია\*.

2000

---

\* ურანოსი (სანსკრიტ.) – ყოვლის მომცველი.



## შენი ძეგლი

ზღაპრულ კოლხეთში დღიდან  
გაძმენის,  
შენი ნათელი გონის თვალი  
წარსულს უმზერდა.  
და ვით წინაპარს, ათასწლეულთა  
სევდა-ვარამი მხრებით უზიდავს.  
აი, ამიტომ,  
შენი ძეგლი,  
უნდა იდგეს იაღბუხედ და,  
ღამაზ სამყაროს გაჰყურებდეს  
იაღბუხიდან.

2008





## მიკენური ღომეპი

სიდიადეს განიჭებს,  
დრო-ჟამს რომ ეომეპი.  
შენი სიტყვის კარიბჭეს,  
ვითარც ასტრევს<sup>1</sup> იცავენ –  
მიკენური<sup>2</sup> ღომეპი.

2009

---

<sup>1</sup> ასტრევი – მიკენის მეფე.

<sup>2</sup> მიკენი – მსოფლიოს უსველესი ქალაქი (ძვ.წ.ად. II-ე ათასწლეული).



\* \* \*

აწი ათასწლეულებს,  
თვითონ უამი დაითვლის,  
ვით ლერწამთა ამურებს –  
ტკბილს და სასალამურებს.  
შენც მისხი არ გყოლოდა,  
აღბათ, როგორც დავითი,  
იშვილებდი ფსალმუნებს\*.

2001

---

\* იგულისხმება „კოლხური ფსალმუნები“



## ღამე უზგულში

ამირანის ხმას ინახავს,

აქ,

ახლაც ამირანტის მთა.

ცასთან ახლოა უზგული.

ძაღვის მოწყვეტო ვარსკვლავი,

ვითარც ბალი და უშქური\*.

1972

---

\* მაქალო, ჭკუტა.



\* \* \*

გრიგალებიც არ ხანან,  
თითქოს ზღვა მიატოვეს  
და ზვირთების ოხვრა კი,  
ცას გულზე ჩხველვებს ნემსივით.  
ხმას არ იღებს, ღუმს ქარიც.  
და წელია უშქარი,  
მითრიდატე პონტოელს,  
დარდობს პონტო ევქსინის.

1980



\* \* \*

შორით მთვარე ჩნდა ინახად  
და ქათქათა ზეცის უბე –  
ვარსკვლავებით ავსილიყო.  
ელვა მაინც კბენდა ღრუბელს  
ვით ვასაკას,  
ვასილისკო.

1959



\* \* \*

ქუხილი არა,  
არის ჰეროდე,  
ყრმათ ტირილს,  
ღამის შიშობს ველი,  
დღეები დღეებს წყვილადში მისდევს...  
და კრთება ელვა,  
ელვა არა,  
არის ღვთისმშობელი,  
ცად ამადღებულს დაესებს ქრისტეს.

1973



\* \* \*

ასე არის ოდიდან,  
როს სიცოცხლე მოდიდა  
და დღე იქცა წამებად  
მე,  
მზე და ეს პლანეტა,  
მივდივართ ერთმანეთთან,  
ერთი...  
და ვით სამება.

2009



\* \* \*

უშქარი და ურიცხვი  
გახლავს სპა და  
ლაშქარი,  
ვითარც ჯვარი ლაშარის  
ებრსვი ლომს და  
მარტორქას.

1969





\* \* \*

პოეზიის ოკეანეს,  
რადგან ჩემი სული ვანდუ,  
როგორც ნავკოსალარმა<sup>1</sup>,  
მე სულ ვქმნიდი არაფრისგან,  
ხემს საკუთარ ოლეჭკანდერს<sup>2</sup>,  
ხომალდს<sup>3</sup>,  
კარჭაპს<sup>4</sup>, კარაპას<sup>5</sup> და  
კარაფითას<sup>6</sup>.

1970

---

<sup>1</sup> ნავკოსალარი – მენავეთ მოსღვარი.  
2,3,4,5,6 – „ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა ნავთა“.  
საბა.



\* \* \*

რადგანაც შენ ხარ სვე –  
    ჰელიოსის,  
    დეღამიწაზე მზის ხარ მთესველი!  
და გამარჯვების დროშას არ დახრი.  
რადგანაც ჩემო!  
    შენი ლექსები,  
    დაწერილია უფლის კარნახით.

2007



\* \* \*

ტაძრიდან ხმა ისმის მორჩილის  
გემფარველობს ჩვენ „უინი  
ანთარი“<sup>1</sup> –  
რწმენით თვალისამხილველი ურწმუნის.  
რომ ნათელს მოაფენს  
ზამთარი  
ტირისდენს<sup>2</sup>,  
აპანს<sup>3</sup> და სურწყუნისს<sup>4</sup>.

1966

---


<sup>1</sup> უინი ანთარი – მფარველი ღვთაება.  
<sup>2,3,4</sup> – ღეკემბერი, იანვარი, თებერვალი.



\* \* \*

ვით ამირანს დარდის ორბი,  
დღე-ნიადაგ გულ-ღვისლს  
მიჭამს,  
ვიღაც ბნელში გაკივის  
რად მეგონა ყოფნა ფიჭა,  
მწარე არის შხნაკივით.

2007



## PERSONA NON GZATE

ქვეყნის დასაბამიდან  
ბრუნავს უამთა მორევი...  
პლატონიც და  
სოკრატეც,  
ერთ ღროს ვიცით ორივე  
იყო „persona non grate“\*.

1978

---

\* – „არასასურველი პიროვნება“ (ლათ).



\* \* \*

დამენათევი და უფერული,  
შიშველი მთვარე მოჰგავს  
გეტერას,  
ახალ წყალ ნასვამს მდინარე ლეთის.  
ბალახის ღერზე რომ ჰკიდია,  
ცვრის ციცქნა წვეთი,  
არავინ იცის იმ წვეთში მზე  
როგორ ეტევა.

1997



\* \* \*

ელვის ფრთებით დაფრინავ  
და არა გაქვს სხეული,  
არც ხილული,  
არც მყარი,  
რადგან შენ ხარ სამყარო –  
ახლო და  
შორეული  
ცეცხლისა და სინათლის.


1986



\* \* \*

ცა გააპო ქუხილმა  
და ვიხილე სურათი,  
მეტად გასაკვირე მე  
მოვარე იმ სელს მოჰგავდა,  
ქრისტეს დასახმარებლად,  
რომ მიჰქონდა  
კვირინელს.

1987






\* \* \*

გზებით სიზმარეულით,  
არ სურდა ცას გაეშვი  
კაცი,  
                  ლექით სნეული,  
რადგან მქროლავ წამებში,  
ამწყვედევ –  
ათასწლეულებს.

1981



\* \* \*

მოვიდა და ცეცხლის ალით  
ზღვა ძილისწინ აზიარა  
და გული კვლავ აუტგერა.  
ცის ლაქვარდი ვაზი არის,  
დრუბელი კი –  
ძაღლყურძენა.

1969



\* \* \*

იბერები და მესხები  
სანამ ციურ აზრებს მოხუცს,  
მე სიბრსნეს კვლავ  
ვესესხები –  
კლიმენტ ალექსანდრიელს და  
ბრძენკაც –  
პროკლე დიოდოხოსს.

1968



\* \* \*

ობელისკად მზე აღვას,  
ზეცას –  
ღმერთთა პანთეონს.  
და შენც იქით იურვი,  
სად ნიადაგ ანთია  
ცეცხლი ღვთაებრივი და  
ცეცხლი – მარადიული.

2009



\* \* \*

აქ არყოფნის პურის ყანა,  
აღბათ მალე ითავთავეებს  
და გაუწვდი ხელს  
ლუციფერს\*,  
წამითაც რომ აღარ გტოვებს.  
და მარადის გითვალთვალებს.

2009

---

\* ლუციფერი – (ლათ..) – ბოროტების ღვთაება.



**ს ი ტ ყ ვ ა**

წელი ათასხუთასი

სათოფედ არ იკარებს

სიკვდილსა და

სიბერეს –

სიტყვა არეოპაგელის

(მურვან) –

პეტრე იბერის.

1977



\* \* \*

ძმა ძმას ჰკლავს და  
ზეცას შიში,  
უფართოვებს თვალთა გუბებს  
და დგას ჟამი საშინელი.  
მეფობს ეჭვი და სიჩლუნბე,  
არ ხანს მადლის  
საფშვინელი.

1972



\* \* \*

საიდანღაც მოისმის  
ხმები,  
  ისევ საზარი  
და ჰა, უცებ შეგცივდა  
  – ხელავ,  
  ვით ბალთაზარი,  
ჩამოშვებულს ხელს ციდან.

1993





\* \* \*

რადგან ღმერთმა ინება,  
და მის ნებას გაეუნდე,  
ჩემი ჰანგის –  
სიმებად,  
ისევ ვაბამ სამყაროს  
გრძედებსა და  
განედებს.

1977



\* \* \*

ბაზალეთთან ღამეა და...

არ იქნა და,

არ გათენდა,

წიწამურსაც და კრწანისს,

ვუმზერ,

როგორც ქართველთა,

მოურჩენელ ტკივილსა და

მწუხარების საბრძანისს.

1992



\* \* \*

იყო დრო როს,  
საყვარელო,  
იმედით სხივშემოსილი,  
არ ისმოდა ხმა გამხენის.  
ახლა სხვაა, –  
ცა გფარველობს,  
აღალბედად გადარხენილს.

1993



\* \* \*

ცა არყოფნის სათარეშოდ,  
სურს რომ მზის სულს  
ეზიაროს.

ცარიელი ფრთები კია...  
სადაური წესი არის,  
ის თესავს და...  
სხვები მკიან!!!

1991



\* \* \*

ჩემი მზის ლოდინით დაღლილი,  
ათასწლეულთა ქარში  
და ავდარში,  
პონტო და ეს სანაპირო,  
მაგონებს ათასჯერ  
გადაშლილ –  
კოლხ წინაპართა კირბებს<sup>1</sup> და  
პაპირუსს<sup>2</sup>.

1970

---

<sup>1</sup> კირბები – (კირიბი (მეგრ. კრავი) ე.ი. კრავის ტყავები, რომლებზეც წიგნებს წერდნენ ძველი კოლხები.

<sup>2</sup> პაპირუსი (ბერს.) – ერთგვარი ტროპიკული ლერწამი, რომელსაც საწერ მასალად ხმარობდნენ ეგვიპტელები და სხვები.



**ჰ ე რ ი მ ე ლ ე**

ბევრი შორით შემოგნატრის,  
ვითარცა მზეს განთიადი  
და ვამყარებ მეც იმედებს  
შენი ხოტბა ცაში ადის,  
ვით კოლხ გრძნეულ –  
ჰერიმედეს.

1999



მ ყ ი ნ ვ ა რ ვ ვ ე რ ი

სახეზე თოვლს და ნისლს იფარებენ  
და ქუდმოგლეჯით გარბიან მთები,  
აღბათ სიკვდილი ვერ  
დაეწევათ.  
და მყინვარწვერიც დათოვლილ მხრებით,  
მიწას,  
ზეცისკენ ხუმაღ ეწევა...

1976



\* \* \*

შენი სიყვარული დაზაფრული,  
აქ ყოფნით მაცინე და  
შენც იცინე,  
როდესაც მოვა გაზაფხული,  
რომ მთები თაეზე მესს  
იმტვრევენ...  
ცაო, თვალებში შეგციცინებ,  
შენზე მლოცველი და  
ფეხის მტვერი.

1988





## მე და მსოფლიო

ვერ აგუსრულე ვაჟას ოცნება  
– ქართველს ქართველი  
ვერ შევავარე,  
თუმცა სიცოცხლის ვიყავ მაყარი.  
მით ვართ ერთურთის  
უკმაყოფილო,  
მე და სამყარო,  
მე და მსოფლიო.

1992



**ხილვა: არსაკიძე**

„დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,  
რატომ კარგი აგივია“.

ჩაუვლიათ ცივ საუკუნეებს,  
მტკვარს გაუხსნია  
ლურჯი საკინძე  
სვეტიცხოველი ჩანს, ვით მორჩილი.  
და მის გუმბათზე დგას  
არსაკიძე,  
ცისკენ მზირალი და  
მკლავ მოჭრილი.

1966



\* \* \*

წარსულიდან ვილაც ყივის  
ამ ცხოვრების მღელვარ ზღვაში,  
აფრა, როგორ აუშვიო!  
შენ,  
გადამფრენ ხიტეპივით,  
გსურს, წლებს ხელი აუქშიო.

2008



\* \* \*

სიცოცხლე და სიყვარული  
შეიგრძენი  
და იწამე,  
თუმც გიპყრია დანა ტარით,  
როგორც კრწანისს  
და წიწამურს,  
ქვეყნის სევდას დაატარებ.

2003



\* \* \*

ქარს მიჰქონდა ცა-მიწიან,  
ღელუაც სადღაც განაპირდა  
და მას გაჰყვა მზე –  
მიმქრალი.  
უცებ მოდგა ზღვა ნაპირთან,  
ფეხისწვერზე აიწია,  
რომ მოეკრა შენთვის თვალი.

1980



\* \* \*

ბნელს გააპობს და თვალებში  
ჩამხედავს  
და აღარ ვეძახი ცის ელვას  
მე მლიქვნელს,  
ის უფლის სულია და არსად  
ფერხდება.  
ცისკრის ვარსკვლავი სიშორის –  
ხელს მიქნევს,  
რადაცას მანიშნებს,  
მაგრამ მე ვერ ვხდები.

2004



\* \* \*

ზღვა გრივალს ჭიხვინებს,  
ნაპირთან ზვირთებმა,  
დილამდე იომეს.  
დასამშვიდებლად მე ისევ მოვუხმობ  
კალიფოს<sup>1</sup>,  
კეტოს<sup>2</sup>, და  
დიონეს<sup>3</sup>.

1962

---

<sup>1</sup> 1,2,3 – ზღვის ღვთაებანი (ნერვოსის ქალიშვილები).



## კაცობრიობა არის ნადირი

თუმცა ყოველივე არის ნამდვილი,

მე მრცხვენია და

ვამბობ ჩურჩულით

(საოცრებაა მაინც ღმერთმანი!)

რომ კაცთა მოდგმა არის

ნადირი!

კაცობრიობა არის ურჩხული,

სადაც ცოცხლად რომ ჭამენ

ერთმანეთს!!!

1993





\* \* \*

სამოსახლოა იქ შენი,  
სად მიწა ცას უერთდება  
და გაუშლია ღომს ფრთები.  
მხოლოდ შენ იცი,  
რომ მთები, –  
საფლაგებია ღმერთების.

1968



\* \* \*

უამთა მღვრიე მდინარე  
დგას და არსად არ მიდის,  
ალბათ მიტომ დამყაყდა.  
მე კი ბრძოლა მიხდება –  
სიცოცხლეს და სიკვდილთან –  
მძვინვარ ბუღუმუღუნთან,  
ცხრათავიან ბაყბაყთან.

2009



\* \* \*

ინგირის<sup>1</sup> და ხობოსის<sup>2</sup> პირ,

თქმულებები ნორჩობს

კიდევ,

წელი არის ასჯერ ათი.

თუმც არა ჩანს ოხოპინტრე,

არც დალი

და არც აფსათი.

1987

---

<sup>1</sup> ინგირ-ენგური.

<sup>2</sup> ხობოსი – ხობისწყალი.



\* \* \*

ვინ იცის,

ბედი სად გიმუხთლებს,  
რადგანაც ცხოვრება ბეწვია,  
თუმც გვიან...

და მაინც დროა,

ვითარცა უღიმანი ეწვიო  
ითიკას,

მიკენს და ტროას.

1966



## ოქროს საწმისის ორდენი

სამყაროს ძველ ბაგიდან,  
ისე, როგორც ცხერის ფარას,  
ათასწლეულებს მოდენი,  
მიტომ „ცეცხლისფერი ქვის  
ციმციმით“, რომ გიფარავს,  
„ოქროს საწმისის ორდენი\*.“

1996

---

\* უძველესი და უმაღლესი ორდენი (დააწესეს 1429 წ.).



\* \* \*

სადაც შენი ხე ხარობს,  
იქ სხვისი ვერ იხარებს.  
სხვისას აღემატება შენი  
სათეს-სახნავი.  
შენ რომ ცხოვრობ იმ მხარეს,  
ცხადში არა,  
სიზმარშიც,  
სხვები ველარ ნახავენ.

1969



## სიმონი და ანდრია

იესომ უთხრა მათ „მომყევით და აღამიანთა  
მებადურებათ გაქცევით“.

(მარკოზის სახარება. 1,16,17.)

მებადურად ვიქეცი

და ბადეს ვშლი ზღვისკარად

ასე დილა-ანდრიან.

ველი გულისფანცქალით –

სიმონსა და

ანდრიას.

1965



\* \* \*

შენც კოლხი ხარ!  
ვით წინაპარს,  
არ გჩვევია მტრისთვის  
აჯა,  
ავისმსურველს დღეს შენი ხმა  
თუ ზარავს,  
ეს იმიტომ,  
ტანზე იცვამ რწმენის აბჯარს  
და იხურავ სიყვარულის მუზარადს.

2003





## ალკაზარი

ვითარც ფარსადან ბოდბისხვეელი,  
უამი უნდოა და  
ცბიერი.

ელის განსაცდელი კვლავ საზარი,  
მაგრამ გაუსლებს დღეთა იერიშს –  
„კოლხური ფსალმუნების“  
ალკაზარი\*.

2008

---

\* ალკაზარი (ესპ.არაბ.) – ციხე-სიმაგრე ან მეფის სასახლე.



\* \* \*

პონტოს სანაპიროზე  
გიდგას მთვარის ლოგინი  
და შეჰყურებ კოლხურ ცას...  
ზოგმა, როგორც ღონგინემ,  
ვერ გაუსლო  
ღვთის რისხვას,  
და იმ ქვეყნად მოკურცხლა.

1978



\* \* \*

მილიონი წლის მერე,  
ისევ მოხვალ ქუხილად,  
წარღვნებს გადაამეტებ  
ერთად შეჰყრი პლანეტებს –  
ხილულსა და  
უხილავს.

2000



## ჰეროდოტე და თუკიდიდე

მინაწერი – „ორმაგ ბიუსტზე იანუსის სახით“.  
ნეაპოლის მუზეუმი.

ათასწლეულების მერეც,

მზე დაცქერის ჰალიკარნასს.

პატარებს და უკვირთ დიდებს,


რომ გვჭრეტს სახით –

იანუსის,

დასაგლიდან – ჰეროდოტე,

აღსაგლით კი – თუკიდიდე.

1983



**ცაა – ჩემი სასახლე**

მირიადი სანთელი,  
    ღამით ერთად მინთია,  
    ცაა – ჩემი სასახლე.  
და... ღვთის ჩახველებაზე,  
    დედამიწა ირყევა,  
    ელვა შიშით –  
    ცახცახებს.

1983



**დალისა და დარჯელანის**

ამაყი და თავმომწონე,  
ქართველის მთების გაქვს  
იერი,  
შენი მოდგმაც მარჯვე არი,  
რადგან შენ, ვით ამირანი,  
ხარ ღვთიური ნაშიერი,  
დალისა და  
დარჯელანის.

1981



\* \* \*

სხედან ღამის ცის ბნელ ფულუროში  
ვარსკვლავები და  
ნათლით დადლილნი,  
ცას გაჰკვივიან როგორც ჭოტები.  
მიწა დედაა  
და ზღვას ბაღლივით  
ხელში აყვანა უნდა,  
მშობელს მით ეტოტება.

1966



\* \* \*

ომი...

სისხლი...

ცრემლის წვიმა...

ეს სამყარო გიღირს ჩაღად.

პატივს არ სცემ შენ

მის ასაკს,

როს იხსენებ ხიროსიმას,

კრწანისის ველს

და ნაგასაკს.

1991





\* \* \*

ღამეა,

მე მაინც მზეს ვუმზერ,

ღმერთს ვხედავ მე იმის მზერაში.

ცა ბრწყინავს,

ვით ველი მარტყოფის.

დავფრინავ... ფრთებს ღალად ვერა ვშლი,

რა ვქნა,

ცა,

საფრენად არ მყოფნის.

1979



\* \* \*

რა პატარაა ეს დედამიწა,  
მე დიდი დარდი დამაქვს  
ფარული,  
როგორც ნაგასაკს და ვით  
ნატანევს.  
არავინ იცის, სულ მხიარული,  
მსოფლიო სევდას,  
რომ დავატარებ.

2003



## კიკლიკები

წლებს გაჰყვება მათი სახე,  
ახლა მიღეთს რომ იკლებენ.  
და შენს „კოლხურ ფსალმუნებს“  
კი,  
მიუხეხენ ცაში ბინას,  
ვით ჰომეროსს,  
კიკლიკები\*.

2007

---

\* ჰომეროსის შემდეგ დროინდელი ლირიკოსი პოეტები.



## პოეზიის ბუმბერაზებს

მწვერვალებზე მდგარ სახელთა,  
ზვავებმა ვერ დაგიტანეს,  
ახლაც ვეღარ გცნობენ ხმაზე  
და ღუელში მიტომ იწვევ –  
პოეზიის ბუმბერაზებს,  
გოლიათებს  
და ტიტანებს.

2008



## კაბირთა და ტელხინებთა

ათასეულ წლების მერე!

დატრიალებს ფიქრი კრეტას  
და გულს ეტირ-ელხინება,  
რადგან იცის, რომ მოდგმაა  
კორიბანტთა<sup>1</sup> და კურეტთა<sup>2</sup>,  
კაბირთა<sup>3</sup> და  
ტელხინებთა<sup>4</sup>.

1980

---

1,2,3,4 – კოლხთა და ხალიბთა მონათესავე ტომები.



\* \* \*

მიმწუხრი კვლავ ღამეს პირში  
უდევს მთვარის მონეტას,  
რომ მზის ჯავრი იყაროს  
და ქარონმა ცის სტიქსზე რომ,  
დღისკენ – გადაიყვანოს.

1963



მ ე ო ც ე    ს ა უ კ უ ნ ე

ჩრდილოეთით გადმონადენს,  
დაეფარა ცა უკუნეთს,  
საქართველოს აყრუებდა  
ხმა დაფდაფის და ხმა ზურნის  
და... მეოცე საუკუნე  
იყო ერა მეზოზური\*.

1978

---

\* მეზოზური (ბერს.) – ერა (პალეოზურსა და კაინო-  
ზურს შორის) ქვეწარმავლების ბატონობის.



\* \* \*

უფლის ნათლის გარშემო  
ბრუნავს ბნელთა პლანეტა,  
შენ კი გელის ღამეები  
მზიანი.

და სამყარო მალე მზერას  
მიაპყრობს,  
შენი შუბლის ციურ მერიდიანებს

2001





ი ნ დ რ ა

ნათელ შუბლზე დამეს მთვარე  
და დღეს ისევ მზე აზის, და  
შიში დაბალახობს მინვლრად.  
ვით ხოხობი სველ ფაზისთან  
ხემო,  
შენში ბუდობს ინდრა.\*

2004

---

\* ინდრა (სანსკრიტ.) – მსოფლიო უზენაესი სული.



\* \* \*

წარსულის საღ კლდიდან  
ხმა ისმის საზარი,  
რომელსაც დრო მზეს ართავს.  
და ქრისტე დასტირის –  
ლაზარეს,  
ვით მარიამი და  
მართა.

1975



\* \* \*

ფიქრთა ელვის ნაკადულებს –  
სტრიქონების წვრილი ძაფი,  
აზრით დაუმსხვილებიათ.  
და „კოლხური ფსალმუნები“ –  
კოსმიური –  
სხივებია.\*

1998

---

\* კოსმიური სხივები – განსაკუთრებული სხივები, რომელიც მოდის კოსმოსიდან.



## ხეოპსის პირამიდა

ოცდამეერთეს გასცქერი,  
დიდი სტუმარი მეოცის,  
გღევს შავი შურის სისინი,  
რადგანაც „იქმენ ნათელი!“  
პირამიდაა ხეოპსის  
და... დრო დარაჯობს  
სფინქსივით.

1999



\* \* \*

ეს გული – მინამსხვრეული,  
უფალმა, ვით გაამთელოს,  
(რადგან ძმა,  
ძმას არ ერთგულობს.)  
უარაგვ-უეენგუროდ,  
უკოლხეთ –  
უსაქართველოდ.

1992



\* \* \*

ამ წუთისოფლის სიავეს,  
ჩამოსხენ უამთა კარები,  
(ჩამოსხნილია ისედაც!)

მოვკდები...

მწამს გეყვარები,  
ვით ოსირისი,  
ისიდას.

1959



✽

## იჟმის მთაზე

ვით ოლიმპოზე,

მთაზე იჟმის,

უხილავის ხმა გაჰკივის,

უკვდავება ცამ აპკურა

მურაკამის<sup>1</sup>,

მისიმას<sup>2</sup> და ჰარაკირის<sup>3</sup>,

კუროსავას<sup>4</sup>,

ტაკუბოკუს<sup>5</sup> და საკურას<sup>6</sup>.

1982

---

1,2,3,4,5,6 – იაპონელი პოეტები.



\* \* \*

ის ძეა პოსეიდონის,  
მე გეას ვარ ნაშიერი.  
იგი სხვა არის,  
და მე სხვა,  
ველარ ვპოულობთ საერთოს.  
მაინც,  
მოსვლიდან მე და ზღვა,  
ველარ ვძლებთ უერთმანეთოდ!

1977





## ოქსიმორონი

ქვეყნად ყოფნა-არყოფნა,  
სიცოცხლე და  
სიკვდილი,  
ცალ-ცალკე და ორ-ორი,  
ვით ბნელი და  
ნათელი,  
არის ოქსიმორონი.\*

---

\* ოქსიმორონი (ბერს.) – მახვილგონივრულ-სუფელური.



## ლესბოსელთა კუნძული

მთვარე შედამების ზღვაში,  
ლესბოსელთა მოჰგავს კუნძულს,  
რომლებმაც ცას მზე  
მოცელეს.  
და აწ ღმერთიც ვერ უშველის  
ცისფერებს და  
ლესბოსელებს.

1982



\* \* \*

ლოცულობდა ნიადაგ  
და წამს აღარ აცდენდა...  
ცაზე მთიებს აგებდა  
ურწმუნოთა საყდრებად.  
და ვით გრიგოლ ხანძთელი  
„კეთილს შეიწყნარებდა,  
ჯერკულას განაგებდა“.

1981



\* \* \*

იგრძნო ათასწლეულმა  
შენი ძალა ზევსური.  
და ცა როცა გაიხანა  
ძმის ცხონება ჩაუთქვი.  
ვით ვაჟამ მთებს,  
ზღვებს სული,  
მგოსნებს შორის პირველმა,  
ეგრისელმა ხაუდგი.

1976



**ვარსკვლავებით დაწერილს**

ათას წელში ერთხელ რომ  
ზესთა კარი იხსნება,  
ბრძენნი ჭვრეტენ –  
ქართულ ცას,  
ვარსკვლავებით დაწერილს –  
კოლხი ქურუმ –  
მისნების.

1978



\* \* \*

მზის და სიცოცხლის გარშემო  
ბრუნავ,  
ვითარცა პლანეტა –  
მარადისად რომ გენათა.  
მეფევე მათა და  
მწვერვალთა,  
ზღვათა და ოკეანეთა.

1993



\* \* \*

გამოვთავა უფალმა –  
იმ სვეტად  
და იმ ბოძად,  
მზედ რომ აქციეს ანარქისტს.\*  
მერე მადლი გიბოძა  
„უნახავის დანახვის“.

2007

---

\* ანარქისტი – ანარქიზმის მიმდევარი.



\* \* \*

არ მშოროდები სიზმარში  
ერთხელ ცხადში მეჩვენე,  
მოსვლის დღიდან –  
ვარ შენი.  
ეკლესია მე ჩემი,  
– კლდესა ზედა ვაშენე!

2009





\* \* \*

ცხოვრების წიგნს რომ კითხულობ,  
არც მსიძეა,  
არც ტირია.

ზეცა დასადაფნავია  
მოვარე –  
ქრისტეს საფლავია  
და მთიები დასტირიან.

1962



\* \* \*

ჯოჯოხეთის კარიბჭიდან,  
კუპრში მსხდომთა  
ისმის კვნესა...

შენ კი ჩემო!  
მარადიულ პურს არსობის,  
ხორცში ხნავ და  
სულში თესავ...

2008



\* \* \*

დედა ცეცხლში მაწრობდა,  
ვით აქილევს  
თეტიდა  
და ახლაც იმ ქვეყნიდან,  
არ ყოფნით მეფერება.  
მე კი ლოცვის ფერები  
ამომყავს  
მიღმეთიდან.

1983



\* \* \*

საქართველოს ცის და მიწის,  
როს აღაპყრობ  
ჩანგს საქებად,  
ცა პირს აღებს კვლავ ჭურისებრ.  
შენთან არ-რა ესაქმებათ,  
პოეზიის –  
საჭურისებს.

2008



\* \* \*

აფროდიტეს\* ვადარებ

პოეტ თამარ დაუშვილს,

მისი თეთრი ოცნება

ზღვად თოლიად სულ იფრენს,

ან ფრენას ვინ დაუშლის –

სილამაზის

სულის ფრთებს.

1979

---

\* აფროდიტე (ბერს.) – სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი.





**ლეგენდებით თენდეპი**

წელი არის რამდენი,  
კოლხეთის დიდ წარსულზე  
ფიქრებით ითენტები,  
რომ მითებით ღამდები,  
ლეგენდებით თენდეპი.

1988



\* \* \*

სამყაროს ცის ტატნობიდან  
სიყვარულის მზეს  
მოდენი,  
აქ არყოფნის მოიაფე.  
რაღას აქნევ ცეროდენებს,  
როს ძილს უფროსობ  
გოლიათებს.

1990





## ნიაჰჰარი

ისე, ვითა ბორეასი<sup>1</sup>,  
ხვალინდელ დღეს დედამიწის  
შორს,  
ზესკნელში მიაქანებ,  
(ვით ატილა, ველურ ურდოს.)  
და... შენს „ფსალმუნებში“  
ბუდობს,  
სხვა პლანეტის კოსმიური –  
ნიაჰჰარი<sup>2</sup>.

2005

---

<sup>1</sup> ბორეასი – ქარის ღმერთი.

<sup>2</sup> ნიაჰჰარი – (სასტიკი ქარიშხალი) „უდაბნოთ გამოვი-  
დეს“. (ბიბლ.)



\* \* \*

უსინათლო და უსულგულო –  
მილიონობით ცოცხალ-მკვდრებით  
სანამ სამყარო აშშორდება.

მე უნდა გავასწრო –  
იმ ქვეყნად,  
ამაზე ფიქრები არ მშორდება.

2009



## ჰიპნოსა და თანატოს

ამ ცხოვრების ციხე-კოშკს,  
ვითა დარჯენალისძემ,  
გარეთ უნდა უაროს,  
მაგრამ ჭვრეტს, ვით თანატოლს  
ცის მეუღლე –  
ურანოსს,  
ჰიპნოსა<sup>1</sup> და თანატოსს<sup>2</sup>.

1979

---


1,2 – ტყუპისცალები, ძილისა და სიკვდილის ღმერთები.



\* \* \*

ციდან ჩამოსულ შენს ნათელს,  
მოვა და ვიღაც ზარმაცი,  
ეშმას წყვილიადით შენიღმავს  
და ფეხს წამოკრავს –  
შენს იგავს  
ის და...  
კვლავ წაიბარბაცებს.

1007



\* \* \*

ნილოსთან და ევფრატთან,  
ვით ფაზისის ნაპირთან,  
სიკვდილის მოიაფეს,  
ექებ ეას<sup>1</sup> ნაშიერს  
სემის<sup>2</sup>,  
ქამის<sup>3</sup>,  
იაფეტს<sup>4</sup>.

1984

---

<sup>1</sup> ეა - კოლხთა (ქართველთა) დედაღვთაება.

<sup>2</sup> სემი - სვანი.

<sup>3</sup> ქამი - მეგრელი.

<sup>4</sup> იაფეტი - ქართლელი.



**თერმოპილე – 480 ძვ.წ.აღ.**

**კრწანისი – 1795 წ.**

ისტორიის –

სისხლით მორწყულ

შავ და უსამანო ველზე

ხსოვნა მზის რაშს დააგველებს

და აცოცხლებს თერმოპილში –

სპარტელებს და,

კრწანისში კი –

არაგველებს.

1972



\* \* \*

უფლის რწმენა დაკარგულთ,  
უნდა ვუთხრა პოეტებს  
„მე წინასწარგმეტყველებ  
დროს“, ისე, ვით გოეთე –  
შტერი კაცობრიობა  
„უფალს არ გაახარებს“.


1968



\* \* \*

სილამაზეს გალობენ  
დასნი ანგელოზების...  
როს მწუხრისას ბინდღება,  
ვარსკვლავები –  
უთხრობენ  
ზეცას –  
უფლის დიდებას.

1963





\* \* \*

გზაზე მავალს გოლგოთის,  
მოკვდავს,  
აბა ვინ მეტყვის  
წვრილად, ტანჯვას მაცხოვრისს.  
ფიქრი მიტომ –  
მიელტვის,  
ზენაარსთა საცხოვრისს.

2006



**წმინდა მთა და მთა პოხილი**

წარსულიდან გადმომსკდარი  
კრთება ელვა,  
ვით ორწყალი  
და სიბნელეს აპობს ხილვით.  
გადმოგვცქერის კვლავ  
მოწყალედ,  
წმინდა მთა და მთა პოხილი.

1977



\* \* \*

ვიცი,

სადღაც გემულვის,

სხვა პონტო,

სხვა ფაზისი.

თეთრი დღეც და ღამეცა.

უფრო უღამაზესი –

სხვა მიწა და

სხვა ზეცა.

1970



\* \* \*

ცისიერთა ხელით ნაგებს,  
უკვდავება პირს არიდებს,  
მაგრამ მზეთა-მზე  
უნათებთ  
სველ ეგვიპტურ პირამიდებს  
და აქადურ –  
ზიკურათებს.

1980



\* \* \*

– ახლოვდება დღე –  
განკითხვის,  
მეტრობით თუ არშინებით.  
არ ღირს ყოფნა აქ სირბილად –  
წარსულიდან გვაშინებენ  
ბრძენი დავით  
და სიბილღა.

2001



## აიეზის კოლხეთი

ცა, რომ აღარ გამითვალონ,

დღისით – მზე და

ღამით მოვარე,

ჰკიდია, ვით ავგაროზი.

აიეტის კოლხეთი კი –

ჭიპი გახლავთ სამყაროსი.

1972



## მშობლიური დედამიწა

ადამის სის,

ჟველას,

ვისაც

აკვანი რომ მზით დაირწა,

თავს სიხუმეს აფარებენ.

და... მშობელი დედამიწა –

ნაწერია საფლავეებით.

2001



## მუღო, ცეცხლი

ბრმა რომ „პირამიდებს“ აგებს,  
კვლავ უამურ ფიქრებს  
აშლის –  
მიწის გულში მჯდარი მუღო.  
ვით სიკვდილი  
ცოცხალთ არსში,  
ისე, ხეში ცეცხლი ბუდობს.

1964





\* \* \*

ახლოს არ მოდის,  
მიმზერს შორიდან,  
მე აღარ მინდა მისი  
აღერსი,  
რადგანაც იგი არის თავხედი.  
და ღმერთმა ნუ ქნას,  
სიკვდილს თვალებში,  
თუნდაც ერთხელ რომ აღარ  
ჩაეხედო!

2008



\* \* \*

ვითომც და ველარ გამჩნევენ,  
ვითომც და ველარ გხედავენ,  
მზერა დავსილნი ლიბრებით.  
და მიტომ ველარ გიტანენ!!! –  
რადგანაც შენ ეჯიბრები,  
ქართული სიტყვის ღმერთ-კაცებს,  
კიკლოებსა და  
ტიტანებს.

2009



\* \* \*

იციან და...

მაგრამ მაინც,  
კიდევ ერთხელ შევახსენო,  
ყველა მუდრებს,  
ოხერს მინდა,  
რომ დიდი მზე საქართველოს –  
ამობრწყინდა –  
კოლხეთიდან.

1979



\* \* \*

ელვის ოქროს ფაფართ,  
უხილავი სხვათაგან,  
ქროდა ჩემი პეგასი...  
და ვისაც სურს რომ მნახოს,  
წელი არის ერგასი,  
მიწად არა,  
ცად ვსახლობ.

2007



## საქართველოს ღურჯო ცაო

ოთხი საუკუნე ცრემლად

სულ იწვიმე და

ითოვე –

საქართველოს ღურჯო ცაო.

რა ვქნა!

თურქმა პაატასაგით,

მაინც მსევლად დაიტოვა –

ხემი კლარჯეთი და

ტაო.

1966



## ბრაალის ტაძრები

ეშმას ნაშიერნი

ველარ გაცთუნებენ,

დამეულ წყვილიაღში

რომ დაძვრებიან!!!

დაქირქილებენ კაცუნები,

თუმც სწამთ,

რომ შენი ფსალმუნები,

ვრაალის უხილავი ტასრებია.

1973



**ხილვა: სვიმონ კვიციანი**

ორი ათასწლეულის  
მერე ჩნდება მირაჟი.  
საიდანდაც მოისმის  
– „იფრელ გასაკვირირე“.\*  
და ჭკრეც გზაზე გოლგოთის –  
ჯვართა მტვირთველ  
კვირინელს.

1976

---

\* „ყველაფერი გასაკვირია“ (მეგრ.).



**სიბრძნით –  
ეზოტერულით**

თირავ უცხო პლანეტებს,  
სივრცეები –  
გიზიდავს,  
ასწლეულებს შეუვლი  
შენი ეპიფიზმით და  
სიბრძნით –  
ეზოტერულით.

2001







**ხილვა: ხუთი ქალწული**

საქორწილო ზედაშე  
ლაგვანებში ჩაწურეს...  
თვალში სევდის ცა უდგათ  
დაკლულ მსუქან კურატებს.  
ვხედავ ხუთი ქალწული,  
კარს მიღმიდან სიძის ხმას,  
ბნელში,  
ვით აეურადებს.

1972



## მილიარდი ტაპარი

ცაში და ხმელეთზე,  
ზემთ და ქვემთ,  
ომი და ხანძარია –  
სიკვდილის მომცველი.  
და მაინც,  
მილიარდი ტაპარია,  
უფალო ჩემო!  
დღეს შენზე მლოცველი

1981



## ნილოსიც და რიონიც

შენით მიედინება

ნილოსიც და  
რიონიც,

ხელი ათასწლეულთა გიდევს  
ოქროს აღვირზე.

და ვითარცა ჰერმესი,

კვერთხი – კერიკიონით,

კაცსა და ღმერთს –

(სამყაროს)

აძინებ და აღვიძებ.



## კერპთაყვანისმცემლები

„შეჭამეს შვილნი მათი მსხვერპლთა  
კერპთათვის საბაგელთა“.  
მირიან ქართლის მეფე

შვილთა სისხლით ქეებს ალბობდნენ,  
ელგათ დარი არამზადებს.  
ქართლის მეფემ ფარნაჯობმა,  
კერპთაყვანით სხვას „აჯობა“  
და დაუდგა ძეგლი ზადენს.

1965





## ღაფნისის გასქნება

ჩუმი მოთქმით და ძახილით  
ციდან ჩამოვა აქ ნისლი  
და თვალებს გაახელს,  
ვით ხსოვნის ყვავილი.  
და შენს საფლავთან,  
დღეების ნახირი,  
ხაივლის ბლავილით,  
ვითარცა დაფნისის. \*

2006

---

\* სიცილიელი პოეტი, მუსიკოსი, ბუკოლიკური პოეზიის მამამთავარი.



## ტელემაქე

„შორით მებრძოლს და შემმუსვრელს“,  
ერთადერთ ძეს –  
ოდისევსის,  
მამის იმედს – ტელემაქეს,  
ცოცხალს სიტყვა  
არაღირსეს,  
მოკვდა!  
მკვდარი მერე აქეს!!!

1967





## ადამი და ლილითი

ადრე გაიღვიძა მითმა,  
ჩაუქროლა ძველ პალატებს  
და ბორჯს<sup>1</sup> გაუხინჯა გემო,  
მერე ადამს,  
ვით ლილითმა<sup>2</sup>,  
ზეცამ, მიწას უღალატა  
და მიყიდა სული დემონს.

1990

---

<sup>1</sup> ბორჯი (მეგრ.) – დრო.

<sup>2</sup> ლილითი – ადამის პირველი ცოლი (მით).



## საომრად მივალ ქაჯავეთს

„ვალსა მიკიდავ, ვალსა გთხოვ,  
რას მკითხავ, ქრისტეს დედაო!“  
ხვესურული ლექსი.

მეც, ვით „მაშვრალი გიორგი“,  
საომრად მივალ ქაჯავეთს,  
სადაც კუპრი დულს მდინარის.  
მსურს გამოვიხსნა მზექალი,  
აშაქალ და  
სამძიმარი.

1977



## გიგანტომაქია

აქილევსის ფარსა ჭედ,  
თუმც ეფესტო აქვეა.  
შუბთა მტვრევის ხმა გესმის  
და გაჰყურებ,  
ვით ზევსი,  
სიტყვის აბჯარასხმულთა  
მძლე გიგანტომაქიას\*.

1981

---

\* გიგანტომაქია – გიგანტთა, ბუმბერაზთა ომი.



## მერცხლობენ და ნამგალობენ

წინაპართა სულებია,  
ისევ უკან მოფრენილან,  
მერცხლობენ და  
ნამგალობენ  
(განა ყველა გაიპარა!)  
„კოლხურ ფსალმუნს“ –  
ცა იფარავს,  
როგორც ცეცხლის საგალობელს.

1994



## გოეთეს და ეკერმანს

მეხს სწადია ღამეულ

ცის,

გარღვეულ სამოსის,

ელვის ძაფით შეკერვა.

და შენ წელი სამოცი

ჟურს უგდებდი...

(„საუბარს“)

გოეთეს და ეკერმანს.

2001



\* \* \*

ორი ათასწლეულის

შემდეგ გესმის შენ ექო,

იმ გოლგოთის ჯვარცმიდან.

და ეკებ იმ ასისთავს,

ვინც კვართს ხელით შეეხო...

შენ გრააღის თასს იცავ!

1977



\* \* \*

მიწაც არ ემეტება,  
მაგრამ მაინც დრო და ჟამს  
უხმოდ მიატივტივებს  
მთვარე –  
ღამის ბაიდა.  
შენ, კი ცის უდაბნოში,  
მარტო დაეხეტები...  
მოსული –  
არსაიდან.

1998



## გაგრაცა და აგუქერაც

აფხაზეთის სილამაზემ

ბევრს თვალეზი დაუბრმავეა  
და გულებიც აუბგერა.

და წარსტაცა საქართველოს –

გაგრაცა და აგუქერაც

და „წაიღო“ წიწილივით

ხრდილოეთით „თეთრმა ძერამ!!!“

1993





\* \* \*

ოქროს ცვარ-მარგალიტებად  
ხევსურეთ მიმოაბნიეს  
ვაჟას „შაირი“ ფშაური –  
ძმებმა ციცქნამ და გაბრიელ  
და...  
მოდგმავ ჯაბუშანურის.

1976



ბ უ ნ ე ბ ა

საოცარია ბუნება,  
ზოგჯერ ბედნიერ წამისთვის,  
ღირს თავის გამეტება!  
რადგანაც დიდი მცირედში,  
ვითა მზე –  
წვეთში ეტევა!

1978



\* \* \*

უფლის ხელით დაწერილი

ცა –

დღე-ღამის არის წიგნი.


ღამეს სტკივა მთვარის შუბლი.

მე,

უხილავ ნათლის შიგნით,

სამკვიდრებელს ვეძებ უფლის

2000



## დელოვოს სამისნე

გზა აღარ ხანს არსაით,  
დე დე და დამე ირევა.  
მირიადი ვარსკვლავი –  
ყველას დედა ცა იცნობს.  
ზეცა არის მიწისთვის  
დელოვოს დიდი სამისნო.

2005



\* \* \*

მზეს ძალუმს და  
სხვას არავის,  
სარზე მამალივით შეხტეს,  
ნათელი აქციოს ბინდად,  
დილას კი ღიმილით შეხვდეს,  
მწუხრისას –  
მიიცვალოს მშვიდად.

1996



\* \* \*

მთვარე თითქოს არის ტალა,  
გულისყურს უგდებს  
მღუმარ ხმას,  
ხან მწარეს და ხან ამოსაც.  
შენსავით არვის  
უნახავს  
მზის ჩასვლა და  
მზის ამოსვლა.

2005



\* \* \*

საიდანღაც მოსული,  
სულის შხამით მგესლავი  
წვეთავს ზღვის მელოდია.  
და დღეები ჩვენსავით  
მიდიან და  
მოდიან...

2009



**ქ რ ი ს ტ ე**

სინათლითა და მადლით მოსილი  
ის იყო ღმერთი  
და გახდა კაცი,  
დილა იყო და აღარ დაღამდა.  
მოკლა სიკვდილი თავისი  
ჯვარცმით  
და ჯვარის კიბით ცაში ამაღლდა.

1986





\* \* \*

ცოდვით ახელილ მიწიდან,  
უფლის ნათელის სავსე ცას –  
სულისთვალებით სამზერს,  
შენც ფრაგმენტანის მსგავსად  
ჭვრეტ საწმისს..  
და „სრულ სამ მზეს“.

1976



\* \* \*

უცნობსა და უხილავს  
როგორ გაგითამამდი,  
ავსულთა და  
უნასთა –  
დამეების მომსწრაფი, –  
დახვალ,  
როგორც თავადი,  
ათორმეტი მოწაფით.

1966



\* \* \*

ვარსკვლავთა სიმძიმე  
ღამის ტოტებს ვერახრის.  
მზე –  
ცის ძუძუმტეარი.  
და... იმედად ანთია –  
„სულიერი ვენახი“,  
იოანე მტბევარის.

1966



\* \* \*

იელვა...

და ელვის ძაფით  
ცამ პირი ამოიკემსა.

მთაში ატირდა პირიმზე  
მამლის მესამე ყივილზე  
ღამემ –  
მზე ამოიკვნესა.

1986



\* \* \*

მარადისი ნათელი –  
იყო შენი მსღებელი...  
და აკრობდა ბნელს ცისა  
„შანთი შეუხებელი“,  
„ნაკვერცხალი ცეცხლისა“. (ეზრა).

1980



\* \* \*

შიშველ სანაპიროზე  
მოაფრენდა წამი-წამს...  
და უამს გამთენიისას  
ზღვა რომ დახვდა ქარიშხალს,  
უსინათლო ცამ,  
მიწას  
მირიადი ვარსკვლავი –  
სულ ერთად დაარისხა.

1970



ჴ 0 6 0

შენი ლექსის პწკარები კი,  
ვითა ღერი დარიხინის,  
ნისკარტით რომ დააქვს  
მერცხალს,  
მოვარვარე არის ჴინი  
და ანთია სულში ცეცხლად.

2003



\* \* \*

ამირანტის მოებიდან თუ  
შორეული ლეგენდიდან –  
კვნესა ისმის ამირანის,  
– ზოგჯერ სიტყვა,  
სეტყვაა და,  
სიცოცხლის ვაზს ავერანებს.

1961





\* \* \*

მთიებს ღამის ტოტზე მსხდარებს,  
თავს იმიტომ არ უტოლებ,  
(ისინი ცის ღებურებია).

რომ შენს სიბრძნის ოკეანეს,  
არც პლატონის,  
არც პლუტონის,  
წვეთი აღარ ურევია.

1986



\* \* \*

მთვარე მარადისია,  
არაკარგავს  
მზეც იერს,  
(ვით ბრძანებდა მარუა.)  
რადგანაც შენ ხედავდი  
წარმავალში –  
წარუვალს,  
მიწიერში –  
ზეციერს.

1980



\* \* \*

აღსაელიდან –  
დასაელით,  
ვითარც დღე და ვით ღამე.  
მივდივართ ერთმანეთთან,  
რადგან ციციქნა ვარსკვლავში –  
შენ ხედავ  
მთელ პლანეტას.

1969



\* \* \*

„მოციქულთა საქმეებმა“  
თავი ისე მოგაბეზრა,  
რომ კვლავ უხმობ  
ბიბლიიდან

ესაიას,

ეზიკიელს,

ნაუამს,

ელისეს და ეზრას.

1979



✠

**წიგნი – „ნათელხილვა“**

მზისა და მთვარის ყდაში ჩასმული,  
ცის უდაბნოში  
რომ მივიგნია  
და რომ ირხევა მნათთა ნადავლით,  
ის სხვა წიგნია, –  
„არასოდეს არ დაიხევა“  
და არც არასდროს გაუვა  
ყავლი.

1975



**„კოლხური ფსალმუნების“  
ხუთტომეული**

აჰა, წიგნები დაბეჭდილები...  
და ბრძებს და ყრუებს  
რაღა ენატრათ,  
რა უნდა იგრძნონ დამეხილებმა  
დაუბრუნდებათ ყრუებს  
სმენა და,  
ბრძებს კი თვალები აეხილებათ.

2009



## სული ჭეშმარიტების

მე ვარ შეილი „უძღები“  
და სიცოცხლე მე მშია.  
არყოფნავ კი ყოველთვის,  
ყოფნის ჭერს მარიდებდი.  
მოსვლის დღიდან ამ ქვეყნად,  
ვით უფალი ჩემშია –  
სული ჭეშმარიტების.

2001



\* \* \*

მანანა კვლავ ცვივა ციდან  
და გადმოქუსს წყალი  
კბოლეს!  
აქ არ ყოფნის გაქრა შიში.  
აწ არ იგრძნობთ,  
ადარც წყურვილს,  
და არც შიმშილს.

1972





\* \* \*

ზღვის ნაპირთან ტალღები  
მოდინ და  
მიდინ,  
რაც განთიადს ამოს ხდის.  
ცაზე მთვარე კიდია,  
როგორც კლიტე სამოთხის.

1961



\* \* \*

ჯეონს\* გაატანე მზითვად

ყველა კერპი და

ბომონი.

და ვით შენი, შორეული წინაპარი –

ბრძენთა-ბრძენი სოლომონი,

უფალთან ხარ წილნაყარი.

1976

---

\* ჯეონი – მიწისქვეშეთის მდინარე



\* \* \*

სამოთხეში შესასვლელად,  
გზა,  
რომ ფეხებს იწმინდავდა,  
გაიშალა ია-ვარდად.  
და მზე ამოგიბრწყინდა, და  
მოვარეც ამოგიელვარდა.

1993



\* \* \*

ლეგენდიდან მოფრენილი,  
ამირანტის მთაზე ახლად,  
დამეებს ხმა –  
ათევს ფრენის.  
და.. დიღამდე დასტრიალებს  
ნათელი და  
ნათელმფენი.

1972



\* \* \*

ზოგნი,  
ათასწლეულის  
წინათ, ვითა საგები,  
რჩევით „დიდი ხურალის“  
სახლებს ზღვისპირ ქვიშაზე  
ისევ ისე აგებენ  
და საცრებით ხურავენ.

2005



\* \* \*

რადგან ღმერთმა ინება.  
და მის ნებას გავენდე,  
ჩემი ჩანგის სიმებად –  
ისევ ვაბამ სამყაროს  
გრძედებსა და  
განედებს.

2008



\* \* \*

ღამის მიღმა წვედიაღში,  
ვითა ელვა მიილტვი...  
იქ ცას –  
მთვარის სული დის.  
და შენ, როგორც სპირიტი<sup>1</sup>  
ელის ნათელს –  
ფლუიდის<sup>2</sup>.

2001

---

<sup>1</sup> სპირიტი (ლათ.) – ვისაც სპირიტიზმი (სული) სწამს.

<sup>2</sup> ფლუიდი (ლათ.) – დენადი. სპირიტების წარმოდგენით რაღაც „ფსიქიკური დენი“, რომელსაც თითქოს გა-  
მოსახეებს ადამიანის სხეული.

\* \* \*

აშრიალებენ სივრცეს მთიები  
და მიტოვებულ  
პარას ჭალაში,  
ძაღლის ყმუილი სოფელს აშინებს.  
ცა ისევ უსვამს  
მთვარის შალაშინს,  
ღამეს დიღამდე აშალაშინებს.

1964





\* \* \*

მთებთან კავკასიონის,  
ისე მოჩანს მთა ეკის,  
თითქოს იწვევს ღიმილსაც,  
მაგრამ „კოლხურ ფსალმუნთა“ –  
დიდი პოეზიის ცა –  
საზომია პარსეკით.\*

2001

---

\* პარსეკი (ასტრ.) – ვარსკვლავიერი მანძილების საზომი.



\* \* \*

წუთისოფლის სივერაგე,  
შენც იტირე,  
შენც იცინე.  
ასე კარი სამოცის –  
უდარდელად შეაღე!  
ახლა თვალში დგას სიცივე,  
გადასულა შუაღლე.

2001



\* \* \*

ღმერთმა ნუ ქნას,  
რომ შეგვრცხვეს  
ერთმანეთის შეხვედრის,  
მეცხრე ცის კაბაღონზე,  
მზის დიდ დღესასწაულზე  
ერთმანეთს რომ შევხვდებით.

2004



\* \* \*

ვითარც ტიტანთა ნაშვირს,  
შენც ძალა მოგდევს –  
ზევესური\  
დრო ვერრას გაკლებს ტიალი.  
და ვით,  
ვაჟა ფშავ-ხევსურეთს,  
შენ ზღვას და კოლხეთს  
თავს დასტრიალებ.

1978



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....5  
 \*\*\* (სამყაროს უცხოდ მოსავი).....25  
 ჰელიოს და ანტიოპე.....26  
 \*\*\* (რადგან არსთაგამრიგემ).....27  
 ცეში და მითრა.....28  
 დიუ-ლაუ!.....29  
 ჭექა-ქუხილი.....30  
 მზის ჩასვლა ზღვაზე.....31  
 სოფელში.....32  
 \*\*\* (შორით ისმის ძახილი).....33  
 \*\*\* (ჩემი ყოფნა ისევ ისმენს).....34  
 \*\*\* (ვერ შეველოდა მზის ამოსვლას).....35  
 კოლხური ბაღი.....36  
 \*\*\* (პოეზიის მზის სხივი).....37  
 \*\*\* (გარსკვლავთ ხოდაბუნებში).....38  
 იერუსალიმში.....39  
 ისევ აფხაზეთი.....40  
 \*\*\* (ჯერ ღამეა).....41  
 \*\*\* (ვითარც შენი წინაპარი).....42  
 \*\*\* (სიცოცხლე და სიყვარული).....43

კუირიელისონი.....	44
*** (ვით თქმულება და ლეგენდა).....	45
წიგნი – „ნათელხილვა“.....	46
*** (ოკეანე ატლანტის ღელავს).....	47
*** (შატილში და ღულის ჭაღას).....	48
*** (მშობლიური ელით ციხე- ღარბაზები).....	49
*** (ათასჯერ უელის სამყაროს).....	50
*** (დიდგორთან და ბასიანთან...).....	51
*** (მრევლი რწმენით დაარწყლულე).....	52
*** (სინათლის პეგასს მიაჭიხვინებს).....	53
*** (იცავს მთვარე ეული).....	54
მეცხრე ცა.....	55
*** (ფეხე აქვე ჩადის და ამოდის).....	56
*** (აჰა!).....	57
*** (მთვარე ჩადის...).....	58
*** (ათასწლეულებს...).....	59
*** (წარსულის ცა დაცქერის).....	60
*** (ცამ ნათელი დაგაფრქვია).....	61
*** (უფლისაგან ბოძებული).....	62
*** (მოვარდნილ უამთა ქარიშხალს).....	63
*** (დამეები ფიქრების უადვირო რაშებით).....	64

ხმა .....	65
*** (ვარსკვლავებით მოჭედული ცა).....	66
საწმისს, გრაალს და ეფუთის.....	67
სულის ფრთები.....	68
ათი მნათი.....	69
კოსმოგონია.....	70
*** (სადღაც დასალიერში).....	71
*** (მილიონი წლის წინათ).....	72
*** (საქართველოს ცის თაღზე).....	73
*** (ძველი სამყარო გაუვალი არის უღრანი.....	74
*** (უამმა დღეთა ცოცხებით...).....	75
*** (შენი აზრი ღვთის ხელით).....	76
*** (განწმენდილი ენგურით).....	77
*** (წარსულიდან მოსულმა).....	78
ურანოსი.....	79
შენი ძეგლი.....	80
მიკენური ღომები.....	81
*** (აწი ათასწლეულებს).....	82
ღამე უშგულში.....	83
*** (გრიგალებიც არ ჩანან).....	84
*** (შორით მთვარე ჩნდა ინახად).....	85
*** (ქუხილი არა).....	86

*** (ასე არის ოდიდან).....	87
*** (უშქარი და ურიცხვი).....	88
*** (პოეზიის ოკეანეს).....	89
*** (რადგანაც შენ ხარ ძე – ჰელიოსის)...	90
*** (ტადრიდან ხმა ისმის მორჩილის).....	91
*** (ვით ამირანს დარდის ორბი).....	92
Persona non grata .....	93
*** (ლამენათევი და უფერული).....	94
*** (ელვის ფრთებით დაფრინავ).....	95
*** (ცა გააპო ქუხილმა).....	96
*** (გზებით სიზმარულით).....	97
*** (მოვიდა და ცეცხლის ალით).....	98
*** (იბერები და მესხები).....	99
*** (ობელისკად მზე ადგას).....	100
*** (აქ არყოფნის პურის ყანა).....	101
სიტყვა.....	102
*** (კმა კმას ჰკლავს და...).....	103
*** (საიდანღაც მოისმის).....	104
*** (რადგან ღმერთმა ინება).....	105
*** (ბაზალეთთან ღამეა და...).....	106
*** (იყო დრო როს, საყვარელო).....	107
*** (ცა არყოფნის სათარეშოდ...).....	108
*** (ჩემი მზის ლოდინით დაღლილი).....	109



ჰერიმედე ..... 110

მყინვარწვერი ..... 111

\*\*\* (შენი სიყვარულით დაზაფრული) ..... 112

მე და მსოფლიო ..... 113

ხილვა: არსაკიძე ..... 114

\*\*\* (წარსულიდან ვიღაც ყივის) ..... 115

\*\*\* (სიცოცხლე და სიყვარული) ..... 116

\*\*\* (ქარს მიჰქონდა ცა – მიწიდან) ..... 117

\*\*\* (ბნელს გააპობს და...) ..... 118

\*\*\* (ზღვა გრიგალს ჭიხვინებს...) ..... 119

კაცობრიობა არის ნადირი ..... 120

\*\*\* (სამოსახლოა იქ შენი) ..... 121

\*\*\* (ეამთა მღვრიე მდინარე) ..... 122

\*\*\* (ინგირის და ხობოსის პირ...) ..... 123

\*\*\* (ვინ იცის...) ..... 124

ოქროს საწმისის ორდენი ..... 125

\*\*\* (სადაც შენი ხე ხარობს) ..... 126

სიმონე და ანდრია ..... 127

\*\*\* (შენც კოლხი ხარ!) ..... 128

აღკაზარი ..... 129

\*\*\* (პონტოს სანაპიროზე) ..... 130

\*\*\* (მილიონი წლის მერე) ..... 131

ჰეროდოტე და თუკიდიდე ..... 132

ცაა – ჩემი სასახლე.....	133
დალისა და დარჯელანის.....	134
*** <i>(სხედან ღამის ცის ბნელ ფულუროში)</i>	135
ომი .....	136
*** <i>(ღამეა)</i> .....	137
*** <i>(რა პატარაა ეს დედამიწა)</i> .....	138
კიკლიკები.....	139
პოეზიის ბუმბერაზებს .....	140
კაბირთა და ტელხინებთა.....	141
*** <i>(მიმწუხრი კვლავ ღამეს პირში...)</i> .....	142
მეოთხე საუკუნე .....	143
*** <i>(უფლის ნათლის გარშემო)</i> .....	144
ინდრა .....	145
*** <i>(წარსულის საღ კლდიდან)</i> .....	146
*** <i>(ფიქრთა ელვის ნაკადულებს)</i> .....	147
ხეოპსის პირამიდა.....	148
*** <i>(ეს გული მინამსხვრეული)</i> .....	149
*** <i>(ამ წუთისოფლის სიავეს)</i> .....	150
იძუმის მთაზე.....	151
*** <i>(ის ძეა პოსეიდონის)</i> .....	152
ოქსიმორონი .....	153
ღესბოსელთა კუნძული .....	154
*** <i>(ღოცულობდა ნიადაგ)</i> .....	155

*** (იგრძნო ათასწლეულმა).....	156
ვარსკვლავებით დაწერილს.....	157
მზის და სიცოცხლის გარშემო.....	158
*** (გამოგთალა უფალმა).....	159
*** (არ მშორდები სიზმარში).....	160
*** (ცხოვრების წიგნს რომ კითხულობ).....	161
*** (ჯოჯოხეთის კარიბჭიდან).....	162
*** (დედა ცეცხლში გაწრთობდა).....	163
*** (საქართველოს ცის და მიწის).....	164
*** (აფროდიტეს ვადარებ).....	165
თესალიას, არკადიას, პელოპონეს.....	166
ლეგენდებით თენდები.....	167
*** (სამყაროს ცის ტატნობიდან).....	168
ნიაექარი.....	169
*** (უხინათლო და უსულგულო).....	170
ჰიპნოსა და თანატოსს.....	171
*** (ციდან ჩამოსულ შენს ნათელს).....	172
*** (ნილოსთან და ევფრატთან).....	173
თერმოპილე – 480 ძვ.წ. აღ. კრწანისი- 1795წ.....	174
*** (უფლის რწმენა დაკარგულთ.....	175
*** (სილამაზეს გალობენ).....	176
*** (გზაზე მავალს გოლგოთის).....	177

წმინდა მთა და მთა პოხილი.....	178
*** (ვიცი).....	179
*** (ცისიერთა ხელით ნაგებს).....	180
*** (ახლოვდება დღე...).....	181
აიეტის კოლხეთი.....	182
მშობლიური დედამიწა.....	183
მუდო, ცეცხლი.....	184
*** (ახლოს არ მოდის).....	185
*** (ვითომც და ვეღარ გამჩნევენ).....	186
*** (იციან და...).....	187
*** (ელვის ოქროს ფაფარით).....	188
საქართველოს ლურჯო ცაო.....	189
გრააღის ტაძრები.....	190
ხილვა: სვიმონ კვირინელი.....	191
სიბრძნით – ეზოტერულით.....	192
მთაზე ხვამლის.....	193
ხილვა: ხუთი ქალწული.....	194
მილიარდი ტაძარი.....	195
ნილოსიც და რიონიც.....	196
კერპთაყვანისმცემლები.....	197
იერიქონის საყვირის ორდენს.....	198
დაფნისის გახსენება.....	199
ტელემაქე.....	200

აღამია და ღიღითი.....	201
საომრად მივალ ქაჯავეთს.....	202
გიგანტომაქია.....	203
მერცხლობენ და ნამგალობენ.....	204
გოეთეს და ეკერმანს.....	205
*** (ორი ათასწლეულის).....	206
*** (მიწაც არ ემეტება).....	207
გაგრადა და აგუძერაც.....	208
*** (ოქროს ცვარ-მარგალიტებად).....	209
ბუნება.....	210
*** (უფლის ხელით დაწერილი).....	211
დეღფოს სამისნე.....	212
*** (მზეს ძაღუძს...).....	213
*** (მთვარე თითქოს არის ტალა).....	214
*** (საიდანღაც მოსული).....	215
ქრისტე.....	216
*** (ცოდვით ახელილ მიწიდან).....	217
*** (უცნობსა და უხილავს).....	218
*** (ვარსკვლავთა სიმძიმე).....	219
*** (იელგა).....	220
*** (მარადისი ნათელი).....	221
*** (შიშველ სანაპიროზე).....	222
ჯინი.....	223

*** (ამირანტის მთებიდან).....	224
*** (მთიებს ღამის ტოტზე მსხდარებს)....	225
*** (მთვარე მარადისია).....	226
*** (აღსავლიდან...)	227
*** („მოციქულთა საქმეებმა“)	228
წიგნი - „ნათელხილვა“ .....	229
„კოლხური ფსალმუნების“ ხუთტომეული.....	230
სული ჭეშმარიტების.....	231
*** (მანანა კვლავ ცვივა ციდან).....	232
*** (ზღვის ნაპირთან ტალღები).....	233
*** (ჯეონს გაატანე მზითვად).....	234
*** (სამოთხეში შესასვლელად).....	235
*** (ღეგენდიდან მოფრენილი).....	236
*** (ზოგნი).....	237
*** (რადგან ღმერთმა ინება).....	238
*** (ღამის მიღმა წყვილიადში).....	239
*** (აშრიალებენ სივრცეს მთიები).....	240
*** (მთებიდან კავკასიონის).....	241
*** (წუთისოფლის სივერაგე).....	242
*** (ღმერთმა ნუ ქნას).....	243
*** (ვითარც ტიტანთა ნაშიერს).....	244



ვაჟა ეგრისელი

## კოლხური ფსალმუნები

100 ტომად  
ტომი 32

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 32

გამომცემლობის

რედაქტორი

– ბურამ კვიციანი

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– შატი ოჩიგავა

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – დანი დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქუჩის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com